პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა
დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 145 (9921) | კვირა, 20 ივნისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა საჰაერო საზღვრების ერთგული გუშაგი

Დღეს საბჭოთა ხალხის ტრადიციული დღესასწაულია — ძლევამოსილი საბჭოთა საჰაერო ფლოტის დღეა. სოციალისტური სამშობლოსათვის, მამაცი საბჭოთა მფრინავების, ავიაკონსტრუქტორებისა და საავიაციო მრეწველობის მუშაკებისათვის სიამაყის გრძნობით აღნიშნავენ ჩვენი ქვეყნის მშრომელები ამ ღირსშესანიშნავ დღესასწაულს.

წელს საჰაერო ფლოტის დღე ჩვენს ქვეყანაში აღინიშნება მშრომელთა უდიდესი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში. ამჟამად მთელი შემოქმედებითი ღონისძიებანი ჩვენი ადამიანებისა, რომლებსაც ხელმძღვანელობს და წარმართავს კომუნისტური პარტია, მიმართულია კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებისაკენ.

სოციალისტური მშენებლობის საქმეში საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებული ისტორიული გამარჯვებანი მკაფიოდ მოწმობენ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს შემდგომ ზრდასა და განმტკიცებას, საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების უდიდეს უპირატესობას კაპიტალისტური წყობილების წინაშე.

ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის, სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სადარაჯოზე მთელ შეიარაღებულ ძალებთან ერთად დგას საბჭოთა ავიაცია — ჩვენი ხალხის სიამაყე.

საბჭოთა ხალხი ამაყობს იმით, რომ ჩვენი ქვეყანა ჰაერ-ნაოსნობისა და ავიაციის სამშობლოა, ამაყობს იმით, რომ ჩვენი სახელოვანი თანამემამულეების ლომონოსოვის, მოჟაისკის, მენდელეევის, ჟუკოვსკის, ციოლკოვსკის, ჩაპლიგინის, ნესტეროვისა და სხვათა სახელები ოქროს ასოებით არის ჩაწერილი ავიაციის განვითარების ისტორიაში.

საბჭოთა ხალხმა, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, პარტიისა, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშივე გენიალურად განჭვრიტა ავიაციის უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი თავდაცვის საქმისა და სახალხო მეურნეობისათვის, შექმნა მძლავრი საჰაერო ფლოტი, უაღრესად განვითარებული საავიაციო მრეწველობა. საჰაერო ფლოტის შექმნა და ზრდა მტკიცედ არის დაკავშირებული ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასთან, იმ დიდ ღონისძიებებთან, რომლებსაც ახორციელებდნენ და ახორციელებენ საბჭოთა ადამიანები სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიური და სამხედრო ძლიერების ზრდა-განმტკიცებისათვის. ახლა საბჭოთა საავიაციო მრეწველობა უშვებს მძლავრ საჰაერო მანქანებს, უახლესი ტიპის თვითმფრინავებს, უფრო მტკიცესა და გამძლეს, ვიდრე რომელიმე კაპიტალისტური ქვეყნის საავიაციო მრეწველობა.

კომუნისტური პარტიის შეუნელებელი ზრუნვისა და ყურადღების მეოხებით გამოიზარდნენ საბჭოთა მფრინავების, ავიაკონსტრუქტორების, ავიამშენებლების შესანიშნავი კადრები. საბჭოთა შევარდნები, განუხრელად ასრულებენ რა მშობლიური კომუნისტური პარტიის მითითებას, მსოფლიოში ყველაზე შორს, ყველაზე სწრაფად და ყველაზე მაღლა დაფრინავენ.

ჩვენი მფრინავების მაღალი მორალურ-პოლიტიკური თვისებანი, საბჭოთა საჰაერო ფლოტის ძლიერება მთელი სისრულით გამოვლინდა დიდი სამამულო ომის დღეებში. ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების მსვლელობაში საბჭოთა ავიაციამ გამანადგურებელი დარტყმები მიაყენა მოწინააღმდეგეს და სხვა გვარეობის ჯარებთან თანამოქმედებით დააჩქარა მტრის საბოლოო განადგურება, ჩვენი გამარჯვება.

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე სამშობლოს დამოუკიდებლობისა და ღირსების დასაცავად საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხთა შვილებთან ერთად სამხედრო-საჰაერო ფლოტის რიგებში მამაცურად იბრძოდნენ ქართველი ხალხის შვილები.

საბჭოთა ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს გმირ მფრინავებს, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებასა და ფაშისტური მონობისაგან კაცობრიობის გადარჩენას შესწირეს. საბრძოლო მამაცობისათვის 2.119 კაცს მინიჭებული აქვს საბჭოთა კავშირის გმირობა, 63 — ორგზის საბჭოთა კავშირის გმირია, ხოლო ორი — სამგზის გმირი.

სამხედრო ავიაციასთან ერთად იზრდება და ვითარდება ჩვენი საჰაერო სამოქალაქო ფლოტი. იგი სახალხო მეურნეობისათვის უმნიშვნელოვანეს დავალებებს ასრულებს, გადააქვს ტვირთები. ჩვენი დიადი სამშობლო დაქსელილია საჰაერო ხაზებით. კომფორტაბელურ საჰაერო ხომალდებს ყოველდღიურად მრავალი მგზავრი გადაჰყავთ ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში, ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქში.

ახლა ჩვენი ხალხი მთელ თავის ძალებს ახმარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების დადგენილებათა განხორციელებას, საბჭოთა სამშობლოს ძლიერების განმტკიცებას, მშრომელთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის განუხრელ ამაღლებას. საბჭოთა სახელმწიფო მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობის, ხალხთა შორის მეგობრული თანამშრომლობის პოლიტიკას. მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომით გართული საბჭოთა ხალხი ყოველი ღონისძიებით განამტკიცებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას, სამხედრო ძლიერებას, რადგან მას არასოდეს არ ავიწყდება იმპერიალისტთა მაქინაციები და ბნელი ზრახვები — ახალი ომის უფსკრულში გადაჩეხონ კაცობრიობა.

პარტიის, საბჭოთა მთავრობის, ჩვენი ხალხის ყოველდღიური მზრუნველობით გარემოსილი სამხედრო-საჰაერო ფლოტის პირადი შემადგენლობა, საბჭოთა მფრინავები, რომლებსაც კარგად აქვთ შეგნებული თავიანთი მაღალი მოვალეობა საბჭოთა სამშობლოს, ხალხის წინაშე, ყოველდღიურად იმაღლებენ პოლიტიკური და საბრძოლო მომზადების დონეს, ოსტატობას.

აღნიშნავს რა საბჭოთა საჰაერო ფლოტის დღეს, საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო ამრავლებს თავის ღონისძიებებს ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძლიერების ამაღლებისათვის, კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებისათვის და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცე რწმენით მიდის წინ — კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ.

ქერის მკა მასობრივად ჩაღდება

სიღნაღი. (საქ. კორ.). კოლმეურნეობებში მასობრივად ჩაღდება ქერის მოსავლის აღება. წნორის მტს-ის კომბაინერებმა უკვე მომკეს 100 ჰექტარი. დიდ წარმატებებს აღწევს კომბაინერ გ. ინაშვილის აგრეგატი, ყოველ ჰექტარზე ლეწავს 25 ცენტნერ ქერს.

მოსავლის აღებაში პირველი დღეებიდანვე დაწინაურდნენ თვითმავალი კომბაინის კომბაინერი გ. სიჭრაშვილი და „სტალინეც-6“ მარკის კომბაინის კომბაინერი ი. მატვეენკო. ქერის მკა დაიწყეს აგრეთვე ალაზნის მტს-ის მექანიზატორებმა.

18 ივნისს სოფელ ვაქირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ პირველი განაწილე 4 ტონაზე მეტი მარცვლეული ჩააბარა „ზაგოტზერნოს“ წნორის პუნქტს. სახელმწიფოსათვის ქერის ჩაბარება დაიწყო სოფელ ანაგის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობამ.

• • •

ყვარელი. (საქ. კორ.). საკოლმეურნეო მინდვრებში შარშანდელთან შედარებით წელს ქერი უფრო ადრე შემოვიდა. ახალსოფლის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობამ პირველმა დაიწყო რაიონში ქერის მოსავლის აღება.

ყვარლის მტს-ის კომბაინერმა ს. ბუთლიაშვილმა „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით 9 საათში მომკა 11 ჰექტარი. იგი იბრძვის იმისათვის, რომ მთელ სეზონში მოსავალი აიღოს 500 ჰექტარზე. ამავე სოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში კომბაინერებმა გ. დაქიურიძემ და ვ. ჩირიკაშვილმა 14 ჰექტარი მომკეს. ქერის აღება დაიწყო სოფელ ჭიკაანის კოლმეურნეობაში.

ქვანახშირი წლის მეორე ნახევრის ანგარიშში

ტყიბული, 16 ივნისი. (საქტეს). მოლოტოვის სახელობის შახტის კოლექტივმა, რომელიც უკრაინის ალექსანდრიაუგოლის ტრესტის № 2 შახტის კოლექტივს ეჯიბრება, 22 დღით ადრე შეასრულა ქვანახშირის მოპოვების ნახევარი წლის გეგმა. ქვანახშირის მოპოვება აქ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თითქმის ორმოცი პროცენტით გაიზარდა.

ყველაზე მოწინავე უბანი, რომელსაც შ. ლაფერაძე ხელმძღვანელობს. ამ უბნის მუშათა 90 პროცენტზე მეტმა უკვე ცხრა თვის ნორმები შეასრულა.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს მოწინავე მფრინავები (მარცხნიდან) ა. ანდრიანოვი, ი. ბერიძე, პ. სამოილენკო, ვ. კუპავა, ვ. გრიგორიევი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1954 წლის 20 ივნისი № 95 ქ. მოსკოვი

ამხანაგო მფრინავებო და შტურმანებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო, საჰაერო მსროლელებო და რადისტებო, ავიაციის მექანიკოსებო და მოტორისტებო, საავიაციო მრეწველობის მუშაკებო!

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები დღესასწაულობენ სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეს და აღნიშნავენ ახალ წარმატებებს საბჭოთა ავიაციის განვითარებაში.

გილოცავთ საჰაერო ფლოტის დღეს და ვუსურვებ სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამოქალაქო ავიაციის მფრინავებს და მთელ პირად შემადგენლობას, საავიაციო მრეწველობის კონსტრუქტორებსა და ყველა მუშაკს შემდგომ წარმატებებს თანამედროვე საავიაციო ტექნიკის განვითარებაში, ჩვენი საჰაერო ფლოტის ძლიერების გადიდების საქმეში.

დღესასწაულის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

დღეს, 1954 წლის 20 ივნისს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში და მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს საბჭოთა საჰაერო ფლოტს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, ჩვენი ხალხის დიად შთამაგონებელ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი **ნ. ა. ბულგანინი.**

საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1954 წელს საკვების დამზადებაში კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1954 წელს საკვების დამზადებაში კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ. საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა კომკავშირულ ორგანიზაციებს უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღონ საკვების დამზადებაში, საკვები კულტურების მოვლასა და სასილოსე ნაგებობათა მშენებლობაში. ამასთან დაკავშირებით კომკავშირულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ ფართოდ გაშალონ კომკავშირელებსა და ახალგაზრდობაში შეჯიბრება იმისათვის, რომ თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულოს საკვების დაგროვების დაწესებული გეგმები. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი რჩევას აძლევს კომკავშირულ ორგანიზაციებს შექმნან ახალგაზრდული ბრიგადები და რგოლები თიბვის, სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის, სილოსის ჩადების სამუშაოებისათვის, მოაწყონ ახალგაზრდობის მასობრივი გასვლა საკვების დასამზადებლად და საკვები კულტურების ნათესების მოსავლელად. იბრძოლონ იმისათვის, რომ ყოველმა თივის ასაღებმა აგრეგატმა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულოს ცვლის გამომუშავების ნორმები. იქ, სადაც შეუძლებელია სათიბი მანქანების გამოყენება, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ახალგაზრდობის ძალებით უნდა მოაწყონ ხელით თიბვა, რათა გაუთიბავი არ დარჩეს არც ერთი ჰექტარი სათიბი. კომკავშირელები და ახალგაზრდობა მოვალენი არიან დაეხმარონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ფართოდ გამოიყენონ სასილოსედ გარეული ბალახები. საკვების დამზადებას, საკვები კულტურების ნათესების მოვლის, სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის სამუშაოებში საჭირო შემთხვევებში პარტიულ ორგანოებთან შეთანხმებით მოიზიდონ ქალაქებისა და მუშათა დაბების ახალგაზრდობა სახელმწიფო ორგანიზაციების მუშაობისათვის ზიანის მიუყენებლად.

კომკავშირის რაიონულმა, საქალაქო, საოლქო, სამხარეო კომიტეტებმა, მოკავშირე რესპუბლიკათა ალკკ ცენტრალურმა კომიტეტებმა ყოველი ღონისძიებით უნდა წაახალისონ კომკავშირელები და ახალგაზრდობა, რომლებმაც თავი გამოიჩინეს საკვების დამზადების სამუშაოებში.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მყარი საკვები ბაზის შექმნის სამუშაოებში კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობის მიზნით, საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ მიიჩნია გამოაცხადოს რაიონული კომკავშირული ორგანიზაციების საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება საკვების დამზადებაში. შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან ის რაიონული კომკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთი აქტიური მუშაობით:

— ხელს შეუწყობენ მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში თივის ასაღები მანქანების რემონტის დროზე დამთავრებას და თივის აღებაში მათ სრულად გამოყენებას, ბუნებრივი სათიბებისა და ნათესი ბალახების მთელი ფართობის მთლიანად და თავის დროზე გათიბვას.

— დაეხმარებიან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სასილოსე სიმინდის, მზესუმზირის, ძირხვენების, ბალჩეული და სხვა საკვები კულტურების უხვი მოსავლის მოყვანაში;

— უზრუნველყოფენ კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის აქტიურ მონაწილეობას საჭირო რაოდენობის სასილოსე ნაგებობათა მშენებლობაში და დაეხმარებიან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სილოსის ჩადების გეგმის შესრულებაში;

— დაეხმარებიან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს კომბაინებით პურის აღების შემდეგ მთელი ნამჯისა და ნაზორის შეგროვებისა და დაბულულების მოწყობაში.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის დაწესდეს ოცი პირველი, ორმოცდაათი მეორე და ოცდაათი მესამე ადგილი, აგრეთვე 200 პირადი პრემია — მაჯის საათები.

რაიონული კომკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც პირველ ადგილს დაიკავებენ, შეტანილ იქნებიან საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნში. კომკავშირის რაიკომები დაჯილდოებულ იქნებიან „მოსკვიჩის“ მარკის მსუბუქი ავტომობილით.

რაიონული კომკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც მეორე ადგილებს დაიკავებენ, შეტანილ იქნებიან საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნში. კომკავშირის რაიკომები დაჯილდოებულ იქნებიან ეტლიანი მოტოციკლით.

რაიონული კომკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც მესამე ადგილებს დაიკავებენ, შეტანილ იქნებიან საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნში. კომკავშირის რაიკომები დაჯილდოებულ იქნებიან რადიომიმღებით.

მაჯის საათებით დაჯილდოვდებიან ის კომკავშირელები, ახალგაზრდები, კომკავშირელი აქტივისტები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი საკვების დამზადების სამუშაოებში.

კომკავშირელები და ახალგაზრდობა, რომლებმაც მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვეს თიბვის, საკვები კულტურების უხვი მოსავლის მოყვანის, სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის, სილოსის ჩადების სამუშაოებში, აგრეთვე კომკავშირელი აქტივისტები, კომკავშირული მუშაკები, პირველადი, რაიონული, საქალაქო კომკავშირული ორგანიზაციები, რომლებმაც უზრუნველყვეს კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობა საკვების დამზადებაში, კომკავშირის საოლქო, სამხარეო კომიტეტების, მოკავშირე რესპუბლიკათა ალკკ ცენტრალური კომიტეტების წარდგინებით დაჯილდოებულ იქნებიან საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით.

საკვების დამზადებაში რაიონული კომკავშირული ორგანიზაციების საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები შეჯამდება 1954 წლის ოქტომბერში. კომკავშირის საოლქო, სამხარეო კომიტეტები, მოკავშირე რესპუბლიკათა ალკკ ცენტრალური კომიტეტები 15 ოქტომბრამდე, შესაბამის სასოფლო-სამეურნეო ორგანოებთან ერთად, საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს წარუდგენენ ცნობებს ერთი-ორი რაიონული კომკავშირული ორგანიზაციის შესახებ, რომლებმაც საუკეთესო წარმატება მოიპოვეს საკვების დამზადებაში.

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა კომკავშირის საოლქო, სამხარეო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკათა ალკკ ცენტრალურ კომიტეტებსა და კომკავშირული გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს უზრუნველყონ საკვების დამზადებაში რაიონული კომკავშირული ორგანიზაციების სოციალისტური შეჯიბრების ფართო საჯაროობა.

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას აქტიურად ჩაებან თიბვის, საკვები კულტურების უხვი მოსავლის მოყვანის, სასილოსე ნაგებობათა მშენებლობისა და სილოსის ჩადების სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში და მთელი ძალები მოახმარონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირუტყვის სულადობის სრულად უზრუნველყოფას საკვებით.

კორეის საკითხი გადაწყვეტას მოელის

საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე დამთავრდა კორეის საკითხის განხილვა. საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციები მთელი თათბირის განმავლობაში ინარჩუნებდნენ ინიციატივას, შეიტანეს რა კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების ნათელი და ზუსტი პროგრამა.

თათბირმა ვერ მიაღწია შეთანხმებას კორეის პრობლემის შესახებ იმიტომ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ და მისი მომხრე სხვა ქვეყნების — კორეაში აგრესიის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებმა ხელი შეუშალეს იმ გადაწყვეტილებათა მიღებას, რომელთა მიზანია კორეაში საბოლოო მშვიდობიანი მოწესრიგება.

ამ სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვანი საკითხის განხილვის შეწყვეტის ინიციატივა ეკუთვნოდათ ამერიკის შეერთებულ შტატებს და კორეაში აგრესიის მხრივ მათ მოკავშირეებს. ისინი გამოვიდნენ დეკლარაციით, რომელიც გამოხატავდა მათ უარს განეგრძოთ მოლაპარაკება ჟენევის თათბირზე. ამრიგად, აშკარად გამომჟღავნდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მთელ რიგ სხვა სახელმწიფოებს, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით მონაწილეობას იღებდნენ კორეაში ამერიკელთა ინტერვენციაში, არა სურთ რამდენადმე მაინც შეუწყონ ხელი მშვიდობიან მოწესრიგებას კორეაში.

შეერთებული შტატები პირველი დღეებიდანვე შეეცადნენ გამოეყენებინათ ჟენევის თათბირი იმისათვის, რომ ანტიხალხური ლისინმანური რეჟიმი ჩრდილოეთ კორეაზეც გაევრცელებინათ. მათ სურდათ ჟენევაში მიეღწიათ იმისათვის, რაც ვერ შეძლეს იარაღის ძალით მოეპოვებინათ სამი წლის გააფთრებულ ომში. ომის განახლების მუქარის საშუალებით აგრესორები ვარაუდობდნენ მიეღოთ თავისთვის სასარგებლო პირობები და თავს მოეხვიათ ჩრდილოეთ კორეისათვის ანტიხალხური, მთლიანად დამპალი, ნახევრადფაშისტური ლისინმანური რეჟიმი.

როცა „ძალის პოზიციის“ ამ პოლიტიკამ ჟენევაში მარცხი განიცადა, შეერთებული შტატების დელეგაციამ ყველაფერი გააკეთა, რაც კი შესაძლებელი იყო, რათა ჩაეშალა კორეის საკითხის განხილვა. ამ მიზნით მან მიმართა ობსტრუქციის ტაქტიკას. ეს ტაქტიკა იმით გამოიხატა, რომ, არ შეიტანა რა არავითარი წინადადება, რომელიც დაადასტურებდა მოლაპარაკების სურვილს, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია უარყოფდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის დელეგაციების ყველა წინადადებას.

ჯერ კიდევ 27 აპრილს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნამ ირმა შეიტანა წინადადება კორეის ეროვნული ერთიანობის აღდგენისა და სრულიად კორეის თავისუფალი არჩევნების მოწყობის შესახებ. ეს წინადადებანი ემყარებოდნენ იმას, რომ კორეის საკითხის მშვიდობიანი საშუალებებით მოწესრიგება უნდა მიენდოს თვით კორეელ ხალხს. კორეის ერთიანობის პრაქტიკულ განხორციელებაში უმნიშვნელოვანესი ეტაპი უნდა იყოს სრულიად კორეის არჩევნების მოწყობა მთელი კორეის მოსახლეობის ნების თავისუფალი გამოვლინების საფუძველზე. ამ მიზნით კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის გეგმა ითვალისწინებდა სრულიად კორეის კომისიის შექმნას ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის წარმომადგენელთაგან, გულისხმობდა რა იმას, რომ ამ კომისიის ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანა იქნებოდა სრულიად კორეის საარჩევნო კანონის მომზადება. გათვალისწინებული იყო უცხოეთის მთელი შეიარაღებული ძალების გაყვანა კორეის ტერიტორიიდან არჩევნების მოწყობამდე, რაც უმნიშვნელოვანესი პირობაა ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინების უზრუნველყოფისათვის. დასასრულ, გეგმაში აღნიშნული იყო, რომ საჭიროა კორეის მშვიდობიანი განვითარების უზრუნველყოფა იმ სახელმწიფოთა მხრივ, რომლებიც ყველაზე მეტად არიან დაინტერესებულნი შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის შენარჩუნებით.

ყველა ეს სამართლიანი წინადადება უარყვეს იმ ქვეყნების წარმომადგენლებმა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კორეაში ამერიკელთა ინტერვენციაში.

მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციები, ხელმძღვანელობდნენ რა კორეაში მშვიდობის განმტკიცებისადმი მისწრაფებით, განაგრძობდნენ თავიანთ ღონისძიებებს შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა მისაღწევად. დიდი მნიშვნელობა აქვს, კერძოდ, დამატებითს წინადადებას, რაც 22 მაისს ჯოუ ენ-ლაიმ შეიტანა იმის შესახებ, რომ ნეიტრალური ქვეყნების წარმომადგენელთაგან შეიქმნას კომისია, რომელიც განახორციელებს მეთვალყურეობას მთელ კორეაში თავისუფალი არჩევნების მოწყობისადმი.

ეს წინადადებაც უარყვეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და აგრესიაში მათი მოკავშირეების დელეგაციებმა. რათა ხელი შეეშალათ შეთანხმებული გადაწყვეტილების მიღებისათვის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გონივრულ წინადადებას მათ დაუპირდაპირეს მოთხოვნა, რომ არჩევნებისადმი კონტროლი გადაეცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. ეს მოთხოვნა აშკარად მიუღებელი იყო, რამდენადაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მეომარ მხარედ გადაიქცა. ამით მან დაკარგა შესაძლებლობა იმოქმედოს როგორც მიუკერძოებელმა საერთაშორისო ორგანომ და უკვე აღარ შეუძლია შეასრულოს ობიექტური ფუნქციები კორეის საკითხის გადაწყვეტაში.

საბჭოთა დელეგაციამ 5 ივნისს შეიტანა წინადადებანი, რომელთა მიზანია დააახლოოს თათბირის მონაწილეთა თვალსაზრისი და გააადვილოს შეთანხმების მიღწევა. საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა წინადადება წამოაყენა, რომ თათბირს მიეღო გადაწყვეტილება, რომელშიც ნათქვამი იქნებოდა: ჟენევის თათბირის მონაწილენი შეთანხმდნენ მოეწყოს კორეის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი არჩევნები ექვსი თვის ვადაში; შეიქმნას კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და კორეის რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან სრულიად კორეის ორგანო, რომელიც მოამზადებს და მოაწყობს არჩევნებს და ხელს შეუწყობს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და კორეის რესპუბლიკის დაახლოებას; გაყვანილ იქნან კორეიდან უცხოეთის მთელი ჯარები; შეიქმნას შესაბამისი საერთაშორისო კომისია, რომელიც მეთვალყურეობას გაუწევს სრულიად კორეის თავისუფალ არჩევნებს; შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის შენარჩუნებით ყველაზე უფრო დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა იკისრონ ვალდებულება — უზრუნველყონ კორეის მშვიდობიანი განვითარება, რაც ხელს შეუწყობს კორეის ეროვნული გაერთიანების ამოცანის გადაწყვეტას.

ამ გადაწყვეტილების მიღება გააადვილებდა ჟენევის თათბირის შემდგომ მუშაობას, საშუალებას მისცემდა თათბირის მონაწილეებს განეგრძოთ აზრთა გაცვლა სადავო საკითხებზე და მიეღწიათ შეთანხმებისათვის. საბჭოთა წინადადებები სავსებით მოიწონეს კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ, მაგრამ სახელმწიფოებმა, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით მონაწილეობას იღებდნენ ამერიკის აგრესიაში კორეის წინააღმდეგ, ამჯერადაც უხეშად უარი თქვეს მათ კონკრეტულ განხილვაზე.

ამრიგად, ჟენევის თათბირზე კორეის საკითხის განხილვის დროს მთელი სიცხადით გამოვლინდა ორი პოლიტიკური ხაზი. ერთი ხაზი ითვალისწინებს უზრუნველყოფილ იქნას აზიის ხალხთა თავისუფალი განვითარება ეროვნული დამოუკიდებლობის, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის საფუძველზე. მეორე ხაზის [illegible] არის, რომ აზიაში კოლონიზატორმა სახელმწიფოებმა შეინარჩუნონ დამონებული [illegible], რის წინააღმდეგ გადაჭრით ილაშქრებენ აზიის ხალხები.

კორეის საკითხის გადაჭრა, როგორც ჟენევის თათბირზე მისი განხილვის მთელმა მსვლელობამ ცხადყო, შეიძლება ნაყოფიერი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაითვალისწინებენ თვით კორეელი ხალხის კანონიერ ინტერესებს. ახლა შეუძლებელია კოლონიზატორთა ნება თავს მოახვიონ ხალხებს, რომლებიც მამაცურად იცავენ თავიანთ ეროვნულ დამოუკიდებლობას. დროა ზოგიერთი იმპერიალისტური სახელმწიფოს მმართველმა წრეებმა შეიგნონ, რომ „ძალის პოზიციის“ ვერავითარი პოლიტიკა უკუღმა ვერ დაატრიალებს ისტორიის ჩარხს. აზიის ხალხებს ურყევად აქვთ გადაწყვეტილი გაიკვლიონ მტკიცე ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული განვითარების გზა.

ჟენევის თათბირზე კორეის საკითხის განხილვამ ცხადყო, რომ კორეაში მშვიდობიანი მოწესრიგება დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა შეერთებული შტატების პოზიციაზე. თუ შეერთებული შტატების პოლიტიკა კორეის საკითხში კვლავაც დაეყრდნო ზოგიერთი გენერლის სამხედრო გეგმებს, გენერლებისა, რომლებსაც არ ძალუძთ გაიგონ აზიის ქვეყნებში მომწიფებული დემოკრატიული რეფორმები, ასეთი პოლიტიკა ვერ შეუწყობს ხელს კორეის პრობლემის მოწესრიგებას და არ შეიძლება არ ჩაიფუშოს.

კორეის საკითხში, ისევე როგორც სხვა საერთაშორისო საკითხებში, საბჭოთა კავშირი იცავს ხალხთა მშვიდობისა და თავისუფალი განვითარების ინტერესებს. მაშინ როცა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს მმართველი წრეები ცდილობენ კორეის საკითხი გამოიყენონ შორეულ აღმოსავლეთში დაძაბულობის გასაძლიერებლად და კოლონიურ სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფების შესაქმნელად, საბჭოთა კავშირი მოითხოვს კორეის საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებას, იცავს ხალხთა კოლექტიური უშიშროების ინტერესებს.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ხელი შეუშალეს კორეის საკითხის მოწესრიგებას ჟენევის თათბირზე. ამერიკის შეერთებული შტატების ტაქტიკისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო საბოლოო სხდომა კორეის საკითხზე, რომელზეც თავი იჩინა ერთგვარმა უთანხმოებამ ამერიკის დელეგაციასა და დასავლეთის სახელმწიფოების ზოგიერთ სხვა დელეგაციას შორის. როცა ამერიკის დელეგაციის ხელმძღვანელმა დაინახა, რომ დასავლეთის სახელმწიფოების ცალკეული წარმომადგენლები დაეთანხმნენ წინადადებას, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ შეიტანა უკანასკნელ სხდომაზე, მან მაშინვე უხეშად დატუქსა ისინი და აიძულა უკან დაეხიათ. ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული წრეები ცდილობენ კორეის საკითხის მოწესრიგების ჩაფუშვა გამოიყენონ იმის დასამტკიცებლად, რომ მოლაპარაკების სულისკვეთება არ შეესაბამება შექმნილ ვითარებას, რომ საჭიროა კიდევ უფრო მტკიცედ განხორციელდეს „ძალის პოზიციის“ პოლიტიკა. როგორც კი დამთავრდა ჟენევის თათბირი კორეის საკითხზე, სამხრეთ კორეის მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენელმა მაშინვე პრეს-კონფერენციაზე წარმოთქვა პროვოკაციული სიტყვა, განაცხადა, რომ კორეაში დაზავების პირობები თითქოს ძალას კარგავენ, და ფაქტიურად მოუწოდა განაახლდეს თავდასხმა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაზე. ეს განცხადება ცხადყოფს, თუ რა უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს კორეის საკითხის მოწესრიგების ჩაფუშვას ჟენევის თათბირზე.

მაგრამ რა სიტყვებიც უნდა წარმოთქვან ამერიკელმა იმპერიალისტებმა და მათმა აგენტურამ, „ცივი ომის“ ვერავითარი გაძლიერება ვერ აიძულებს აზიის ხალხებს ხელი აიღონ თავიანთ სასიცოცხლო უფლებებზე კოლონიზატორთა ანგარებითი ინტერესების სასარგებლოდ. მსოფლიოს ხალხები ძალების კიდევ უფრო მეტი დაძაბვით იბრძოლებენ კორეის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის, კორეის საკითხის საბოლოო მოწესრიგებისათვის.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მისი პოზიცია კორეის საკითხში უაღრესად ნათლად ჩამოაყალიბა საბჭოთა დელეგაციამ ჟენევაში. ეს პოზიცია ემყარება იმას, რომ ყოველი სადავო საკითხი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობაში, რარიგ ძნელიც უნდა იყოს იგი, უნდა გადაიჭრას მშვიდობიანი გზით. საბჭოთა კავშირი მომხრეა ისეთი საერთაშორისო თათბირებისა, რომლებზეც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, თანასწორი უფლებების საფუძველზე, კეთილსინდისიერად იმუშავებენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ინტერესებისათვის, მოძებნიან და იპოვნიან სადავო საკითხების გადაჭრის მშვიდობიან გზას. ამ ხაზის შესაბამისად საბჭოთა კავშირმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ოთხი სახელმწიფოს ბერლინის თათბირში და შეიტანა წინადადებანი, რომელთა მიზანია მთელი რიგი საერთაშორისო პრობლემების ქმედითად გადაწყვეტა.

ამ ხაზის შესაბამისად საბჭოთა კავშირი აქტიურ მონაწილეობას იღებს ჟენევის თათბირშიც.

საბჭოთა კავშირთან ერთად ჟენევის თათბირზე კორეის საკითხის მოწესრიგებისათვის აქტიურად იბრძოდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა თათბირზე გამოვიდა როგორც თანასწორუფლებიანი დიდი სახელმწიფო. ეს ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია.

ჩაფუშეს რა მოლაპარაკება ჟენევის თათბირზე, დასავლეთის სახელმწიფოები ცდილობენ კორეის საკითხის განხილვა კვლავ გადაიტანონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რაც სინამდვილეში ნიშნავს იმის ცდას, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას არ მიაღებინონ მონაწილეობა კორეის საკითხის გადაჭრაში. ცნობილია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა დღემდე მოკლებულია თავის კანონიერ ადგილს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. მაგრამ ჟენევის თათბირის მთელმა მსვლელობამ ცხადყო, რომ შეუძლებელია კორეის საკითხის მოწესრიგება, თუ ამაში მონაწილეობა არ მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ.

სსრ კავშირი იყო და რჩება კორეელი ხალხის იმ დემოკრატიული ძალების მხარეზე, რომლებიც ცდილობენ რაც შეიძლება მალე განახორციელონ კორეის, როგორც დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოს, ეროვნული გაერთიანება. სსრ კავშირი იყო და რჩება კორეისა და სხვა ქვეყნების იმ დემოკრატიული ძალების მხარეზე, რომლებიც მოითხოვენ, რომ ხელი შევუწყოთ კორეის განვითარების შემდგომი მშვიდობიანი პირობების უზრუნველყოფას.

ეჭვი არ არის, რომ საბოლოო ანგარიშით, მშვიდობის მტრების ხრიკების მიუხედავად, მშვიდობისმოყვარე ძალების ერთობლივი ღონისძიებანი უზრუნველყოფენ კორეის საკითხის სამართლიანად გადაწყვეტას კორეაში დაზავებიდან ზავზე გადასვლას, კორეის ეროვნული ერთიანობის აღდგენას. ამას დაბეჯითებით მოითხოვს მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ინტერესები.

კორეის საკითხი გადაწყვეტას მოელის!

„პრავდის“ 19-VI მოწინავე.

დავძლიოთ ჩამორჩენა საკვების დამზადებაში

თივის აღება საქართველოში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. 15 ივნისისათვის კოლმეურნეობებს თივის რესპუბლიკური გეგმა შესრულებული ჰქონდათ მხოლოდ 6,7 პროცენტით. თივის აღებაში მკვეთრად ჩამორჩნენ გარეუბნის, გარდაბნის, საგარეჯოს, კასპის, ხაშურის რაიონები. არის ბალახის გადამწიფების ფაქტები. მაგალითად, გარეუბნის რაიონის სოფელ ავჭალის კოლმეურნეობის ეგრეთწოდებულ „წითელი უბნის“ ნაკვეთზე ბალახი გადამწიფდა, დიღმის მტს-ი არავითარ დახმარებას არ უწევს კოლმეურნეობას თიბვის დასაჩქარებლად. ეს ფაქტი გამონაკლისი არ არის.

წელს როგორც ბუნებრივი, ისე ნათესი ბალახის დიდი მოსავალია. ბევრ რაიონსა და კოლმეურნეობას შეუძლია მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულოს საკვების დაგროვების სახელმწიფო გეგმა. ამინდი ყოველმხრივ უწყობს ხელს ბალახის სწრაფ ზრდას. ახლა, საკვების დამზადების დღეებში, წყდება მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების ბედი. კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების წინაშე დასახულია საბრძოლო ამოცანა — თივის აღება დაამთავრონ პურეულის მოსავლის მასობრივად აღების დაწყებამდე. დრო არ იცდის, ძვირფასია ყოველი დღე, ყოველი საათიც კი. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მოიპოვებიან ცალკეული ხელმძღვანელები, რომლებიც უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან საკვების დამზადებას, ივიწყებენ საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებას, რომ საკვების მარაგის შექმნა მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის გადამწყვეტი პირობაა. ფაქტები ცხადყოფენ, რომ მთელ რიგ რაიონებსა და მტს-ებში ცუდად მოემზადნენ საკვების დამზადებისათვის და არაორგანიზებულად დაიწყეს თივის აღებისა და დასილოსების სამუშაოები.

ბაკურიანის მეცხოველეობის სამანქანო სადგურს (დირექტორი ამხ. პ. ჭიპაშვილი) ჯერ კიდევ სანახევროდაც არ შეუსრულებია თივის ასაღები და სილოსის საჭრელი მანქანების რემონტი. ქლუხორის მეცხოველეობის სამანქანო სადგური, რომლის დირექტორია ამხ. ს. ომიაძე, სუსტად ემზადება, 15 სათიბი მანქანიდან შეკეთებული აქვს მხოლოდ 8, შეუწყნარებლად ჭიანურდება სილოსის საჭრელი მანქანების რემონტი.

თივის ასაღები მანქანების რემონტი არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს თიანეთის, დუშეთის, გარეუბნის რაიონების კოლმეურნეობებში.

საგანგაშო მდგომარეობაა სასილოსე ნაგებობათა მშენებლობისა და რემონტის მხრივ ახმეტის, დუშეთის, თიანეთის, ხობის, ცხაკაიას რაიონებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებში.

რესპუბლიკის მტს-ები და კოლმეურნეობები ცუდად აწარმოებენ საკვების დამზადებას ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე. დუშეთის, თიანეთის, ლენინგორის, ყაზბეგის, ახმეტის რაიონები კვლავ აჭიანურებენ მუშახელის საკმაო რაოდენობით გაგზავნას ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე, რაც ამავე დროს იწვევს აღნიშნულ საძოვრებზე მძლავრი ტექნიკის მოცდენას, მაშინ როცა ბალახი დაუყოვნებლივ გასათიბავია. ამრიგად, ხელიდან უშვებენ თიბვის საუკეთესო დროს.

საკვების დამზადებისადმი ასეთი უსულგულო დამოკიდებულება იმას მოწმობს, რომ მთელი რიგი რაიონების ხელმძღვანელმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, მტს-ებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებმა ჯერ კიდევ ვერ გააკეთეს საჭირო დასკვნები სერიოზული შეცდომებიდან საკვების დამზადების დარგში, რომლებიც დაშვებული იყო შარშან და რომლებმაც 1953-1954 წლების გამოზამთრების პერიოდში პირუტყვის დიდი დანაკლისი გამოიწვია.

თივის აღების სამუშაოთა არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იმითაც აიხსნება, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ჯერ კიდევ ცუდად ხელმძღვანელობს საკვების დამზადებას. განა სამინისტროს მუშაობის ნაკლი არ არის ის, რომ აზერბაიჯანის საზამთრო საძოვრებზე წელს თივის მნიშვნელოვანი ნაწილი აუღებელი დარჩა და მით საკვების გადიდების რესურსები შემცირდა? საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ამხ. ს. ვაჩეიშვილი, სამინისტროს მტს-ებისა და მექანიზაციის მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. მ. ალავერდაშვილი შეურიგდნენ იმას, რომ ცალკეული მტს-ები წლობით არ ასრულებენ საკვების დამზადების გეგმებს და რომ მიუხედავად საკვების დიდი რაოდენობით დამზადების შესაძლებლობისა, წელსაც იგრძნობა მთელი რიგი მტს-ების არასერიოზული დამოკიდებულება საკვების დამზადებისადმი.

არაოპერატიულად ეხმარება კოლმეურნეობებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობისა და ვეტერინარიის მთავარი სამმართველო (უფროსი ამხ. ვ. კობახიძე), რომლის მეტი წილი მუშაკები საკვების დამზადების ამ ცხარე დღეებში კაბინეტებში სხედან და რაიონებთან მიმოწერით არიან გართულნი. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვალდებულია საკვების დამზადების საქმის ხელმძღვანელობა გარდაქმნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

აუცილებელია სწრაფად დავძლიოთ ჩამორჩენა თივის აღებაში, ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღიკვეთოს უპასუხისმგებლო დამოკიდებულება საკვების დაგროვებისადმი. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვალდებული არიან მკვეთრად გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა თივის აღებისა და საკვების დასილოსების სამუშაოებისადმი, უზრუნველყონ წელს მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატები

უხვი მოსავლის ოსტატები

მდინარე ჩხარას მწვანე ხეივნებით დამშვენებულ ნაპირს რომ მიუახლოვდებით, თვალწინ მომხიბლავად გადაგეშლებათ სოფელ თერჯოლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის სიამაყე: ვაზის დაუსრულებელი მწკრივები, ახლად წამოქოჩრილი სიმინდი, ბაღნარებში ჩამალული კოპწია სახლები, კორტოხების ფერდობზე გაშლილი ნახირი...

ამ სოფლის მისასვლელთან უხვმოსავლიან ადგილს დიდველს ეძახიან. მართლაც იგი ცნობილია ქარვისფერი ყურძნით, საპონ ატმით, ბროწეულის ბაღებით, სიმინდის უხვი მოსავლით. დიდველის მიწას სახელი გაუთქვეს უბრალო, რიგითმა საბჭოთა ადამიანებმა.

...შარაგზაზე ჯერ კიდევ დილის ფერმკრთალი ნისლი იწვა, როცა დანამული ბილიკი გაიარა თმაშევერცხლილმა კოლმეურნემ ეკატერინე სულამანიძემ და ვენახისკენ შეუხვია. მოწინავე ქალი ამ დილითაც ერთ-ერთი პირველი გავიდა სამუშაოდ. ოდნავ დაიხარა, თვალები გაუბრწყინდა, ვაზის განიერ ფოთლებქვეშ მტევნის პირველი ჩანასახი შეამჩნია.

— ჩვილი ბავშვივით სათუთია, გაიზრდება, დავაკაცდება, მგონი არ შემარცხვენს.

— ვის ებასები, მეზობელო?! — გამოეხმაურა შუახნის კოლმეურნე ტარიელ ნემსაძე. ეკატერინეს ცოტა არ იყოს შერცხვა, მაგრამ წარბი არ შეიხარა:

— რა დაგიფიცო, მეშინია, ვაზმა შემოდგომით პირშიჩალაგამოვლებული არ დამტოვოს!..

— ვაზი ნაამაგარ კაცს არასოდეს დაუკარგავს! — უპასუხა ნემსაძემ და თავისი საქმე განაგრძო. ეკატერინე ერთი წუთითაც ვერ ისვენებდა, თვითეულ სამტევნეს ამოწმებდა. კოლმეურნე ქალმა ხალხს, სამშობლოს სიტყვა მისცა, რომ წელს დიდ მოსავალს მოიყვანს. სულით და გულით სურს შემოდგომაზე, როცა მეზობლებთან ერთად მშობლიურ დედაქალაქში — მოსკოვში გაემგზავრება სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად, იქ დამსწრეთ უთხრას:

— მიირთვით დაშაქრებული თერჯოლული ყურძენი.

უხვი მოსავლისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატი მოწინავე მევენახე ტარიელ ნემსაძე. რით დაიმსახურა მან ეს საპატიო უფლება? უწინარეს ყოვლისა გამრჯე შრომით, დაკისრებული მოვალეობისადმი პატივისცემითა და სიყვარულით. გასულ წელს მან საკოლმეურნეო ვენახის თვითეულ ჰექტარზე 108 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ყურძენი მოკრიფა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების დადგენილებებით აღფრთოვანებულმა ნემსაძემ ვალდებულება იკისრა წელს ჰექტარზე 130 ცენტნერი ყურძენი მოიყვანოს.

ტარიელი ენთუზიასტია ახალი საქმის ათვისებისათვის ბრძოლაში. მან დიდი ხანია მეგობრობა დაამყარა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქარის საცდელ-საჩვენებელი ზონალური სადგურის სწავლულ მდივანთან ამხ. ლ. ქოჩიაშვილთან. ვაზის სხვლის დრო იყო, როცა მეცნიერი მუშაკი კოლმეურნეს ესტუმრა, პრაქტიკულად დაეხმარა, რჩევა-დარიგება მისცა. კოლმეურნემ თავის მხრივ სტუმარს გაუზიარა მრავალი წლის პრაქტიკული გამოცდილება ყურძნის მოსავლიანობის გადიდებაში. პირველი შედეგიც სასახელოა: ადამიანის გულს ახარებს ზაფხულის ნიავით მოშრიალე ჯანსაღი ვაზების დაუსრულებელი მწკრივები...

საქარის საცდელ-საჩვენებელი ზონალური სადგური ამ კოლმეურნეობის შეფია. მეცნიერები და კოლმეურნეები ხელიხელჩაკიდებულნი იბრძვიან სამშობლოს დავალების პირნათლად შესრულებისათვის, უხვი მოსავლის მიღებისათვის.

საამაყო ეპიზოდია: ერთხელ კოლმეურნეობის რგოლის ხელმძღვანელი, ჯანღონით სავსე კომკავშირელი დავით ნემსაძე თვითონ ეწვია საქარას. დაწვრილებით გაეცნო მეცნიერების მიღწევებს, შეისწავლა ვაზის შპალერზე აკვრა, ვაზის გადაყვანა ძლიერი დატვირთვის ფორმაზე, შეწამვლის წესების დაცვა. ჭაბუკმა დაბრუნების შემდეგ საკოლმეურნეო ვენახებში ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც უთხრეს, რაც ნახა.

და მოხდა ის, რაც აუცილებელი იყო: შარშან კომკავშირელ დ. ნემსაძის რგოლმა ჰექტარზე საშუალოდ 136 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა. წელს გამოფენის კანდიდატს ნემსაძეს განზრახული აქვს ჰექტარზე 150 ცენტნერი ყურძენი მოიყვანოს.

უხვი მოსავლისათვის ლაშქრობაში მაგალითის მიმცემი გახდა გამრჯე, მოწინავე მევენახე, გამოფენის კანდიდატი კომუნისტი გრიგოლ ფორჩხიძე. სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში მას არ ჩამორჩება მისივე და — კომკავშირელი ოლია ფორჩხიძე. გრიგოლი სიხარულით იტყვის ხოლმე, მჯობნის მჯობნი არ დაილევაო!

საგაზაფხულო სამუშაოების დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულებაში თავი ისახელა მევენახეთა ბრიგადამ, რომელსაც ხელმძღვანელობს კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი, გამოფენის კანდიდატი ვალერიან ნემსაძე.

თერჯოლელ მევენახეებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი წელს თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 100 ცენტნერი ყურძენი მიიღონ, გეგმა კი 55 ცენტნერს ითვალისწინებს.

* * *

საკოლმეურნეო სოფელში ბედნიერება დამკვიდრდა. ფარღალალა ქოხმახების ნაცვლად თერჯოლის ცენტრში აშენებულია ორ-სამსართულიანი შენობები, ილიჩის ნათურებით გაკაშკაშებულია კოლმეურნეთა კეთილმოწყობილი ბინები. მოასფალტებულ ქუჩებზე დაუსრულებლად დაჰქრიან ავტომანქანები. ბერიკაცს ლ. რობაქიძეს ერთხელ ძველი ჩალვადრები გაახსენდა. გაიღიმა:

— მოჩვენებასავით გაქრნენ, — თქვა და ხელი ჩაიქნია.

დიახ, გაქრა, წარსულს ჩაბარდა ძველი სოფლის სახე.

თერჯოლელებმა სახელოვანი შრომით მოიპოვეს დიდი უფლება: მათი კოლმეურნეობა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის 1954 წლის ღირსეული კანდიდატია ფართო ჩვენებით.

აქ. გოცირიძე.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატები, სოფ. თერჯოლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები, — პირველ რიგში (მარცხნიდან): ტ. ნემსაძე, ვ. ნემსაძე, კ. მურადაშვილი (კოლმეურნეობის თავმჯდომარე), ე. სულამანიძე, მეორე რიგში ხ. მაკარიძე, გ. ფორჩხიძე, დ. ნემსაძე.

ფოტო ა. ამშიკაშვილისა.

კომბინატორები სალიეთიდან

საქართველოში [illegible] სალიეთის წითელი მარმარილოს მდიდარი საბადო. აქაური მარმარილოს ფილით [illegible] მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, [illegible] და სხვა ქალაქთა მშენებლობებზე.

სალიეთელი მაღაროელები თავდადებულად მუშაობენ სახელმწიფო დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის. მაგრამ აქ მოქმედებდნენ დახელოვნებული თვალთმაქცები და კომბინატორები, რომლებიც ცდილობდნენ მოეტყუებინათ სახელმწიფო, რაც შეიძლება მეტი წაეგლიჯათ მისთვის. ამ საბადოს დიდხანს განაგებდა ინჟინერი დ. ნადირაძე. იგი ეწეოდა ყოვლად გაუმართლებელ მიწერებს, ზემდგომ ორგანოებს დამზადებული პროდუქციის შესახებ აწვდიდა ყალბ, გაბერილ ცნობებს და სახელმწიფო ბანკიდან შეუფერხებლად გამოჰქონდა თანხები...

საბადოსთან უნდა აეშენებინათ ორსართულიანი კაპიტალური შენობა. მშენებლობას აწარმოებდა საქართველოს მარმარილოს ტრესტის წარმომადგენელი ვინმე მეტრეველი. მშენებლობაზე დახარჯულმა თანხამ პროექტით გათვალისწინებულს 130.000 მანეთით უკვე გადააჭარბა, მაგრამ მშენებლობის დასამთავრებლად, როგორც ახლა ირკვევა, კიდევ დამატებით საჭიროა 100.000 მანეთამდე. ამასთან ერთად შესრულებული სამუშაო უხარისხოა, ინგრევა საყრდენი კედელი, უვარგისია ბალავერი და სხვ.

1949-1950 წლებში სოფელ კაცხიდან მარმარილოს მაღარომდე საავტომობილო გზა უნდა გაეყვანათ. ეს საქმე თავს იდო კავკასიის არალითონური მადნეულის ტრესტის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების ყოფილმა უფროსმა ინჟინერმა დავით იოსელიანმა. მას, დ. ნადირაძესთან ერთად, ეყო გამბედაობა საგზაო მშენებლობა არ ეწარმოებინა, ხოლო ამ საქმეზე 209.000 მანეთი „აეთვისებინა“. მათ შეადგინეს ყალბი აქტი გზის გაყვანის შესახებ და მოახერხეს დიდძალი თანხის მიღება.

დ. ნადირაძისა და მისი ხელშემწყობების მიერ აქ კიდევ არა ერთი სიყალბე და კომბინაციაა გაკეთებული, რითაც მითვისებულია დიდძალი თანხები. ყოველივე ეს ხდებოდა მაღაროსთან არსებულ პირველადი პარტორგანიზაციის თვალწინ.

მაღაროს ცხოვრებას სრულიად მოწყვეტილია ქუთაისში არსებული სამმართველო, რომელიც, აქვე უნდა ითქვას, მაღაროს დახმარების მაგიერ ხელს უშლის ნორმალურ მუშაობაში.

საეჭვოა, რომ დ. ნადირაძისა და მისი ძმაკაცების „მოღვაწეობის“ შესახებ არ იცოდნენ კავკასიის არალითონურ მადნეულთა ტრესტის ხელმძღვანელებმა. ერთი რამ უცნაურია: სალიეთის მარმარილოს მაღაროს გამგე დ. ნადირაძე გასული წლის მეორე ნახევარში გადაიყვანეს სადახლოს მარმარილოს მაღაროს გამგედ (სადაც მას დამოუკიდებელი ოპერაციების წარმოების უფლება რჩება). სალიეთის მაღაროს გამგედ ხუთი თვეა დანიშნულია ა. ხვედელიძე, რომელიც ტრესტსა და სამმართველოს ემუდარება, რომ დ. ნადირაძემ ჩააბაროს მაღარო, მაგრამ დ. ნადირაძე თავს არიდებს ამ საქმეს. ალბათ შიშობს ფარდა არ ეხადოს მის „ნამოღვაწარს“.

დ. ნადირაძეს და სხვა ყალბისმქმნელებს ტრესტში გულშემატკივრები ხომ არა ჰყავთ?

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ახალი მშენებლობანი

ახმეტა. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ ორსართულიანი დიდი შენობა ააგო. შენობის პირველ სართულში მოთავსებულია 500-ადგილიანი კლუბი, მეორე სართულში — კოლმეურნეობის გამგეობის, სპეციალისტების, ბუხჰალტერიისა და სხვა სამუშაო ოთახები.

კლუბისა და კანტორის ეზოს ყორე შემოავლეს. ეზოში დარგულია დეკორაციული მცენარეები.

სოციალიზმის ქვეყნის საჰაერო ფლოტი

ე. პრეობრაჟენსკი,
ავიაციის გვარდიის გენერალ-პოლკოვნიკი, საბჭოთა კავშირის გმირი.

სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღე — დიდი ტრადიციული საყოველთაო-სახალხო დღესასწაული — საბჭოთა ავიაციის განვითარებაში მიღწევათა, ჩვენი ავიატორებისა და საავიაციო მრეწველობის მუშაკების წარმატებათა დათვალიერების დღე გახდა.

საბჭოთა ხალხი საჰაერო ფლოტის დღეს აღნიშნავს ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისა და თავისი სამშობლოს საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცების ვითარებაში.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ საჰაერო ფლოტის მშენებლობისა და განვითარებისათვის, რის მეოხებით საბჭოთა ავიაცია ჩვენი ქვეყნის მთელ შეიარაღებულ ძალებთან ერთად გადაიქცა ჩვენი ხალხის მშვიდობიანი შრომის ურყევ დასაყრდენად.

საბჭოთა ადამიანები სამართლიანად ამაყობენ თავიანთი ავიაციით. ჩვენი ქვეყანა საჰაერო ფლოტის, მოწინავე საავიაციო მეცნიერების სამშობლოა; ჩვენში მოხდა მსოფლიოში პირველი ფრენა ჰაერბურთობით, ავტოჟირითა და თვითმფრინავით, გაკეთდა პირველი საავიაციო ძრავები. სწორედ რუსმა მეცნიერებმა — ლომონოსოვმა, რიკაჩევმა, ფედოროვმა და მენდელეევმა შეიმუშავეს ჰაერში ფრენის ღრმა თეორიული საფუძვლები. მთელ მსოფლიოში ავიაციის შემდგომ განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა რუს მეცნიერთა — ჟუკოვსკის, ციოლკოვსკისა და ჩაპლიგინის თეორიულმა შრომებმა. ამ რუსმა მეცნიერებმა შექმნეს ახალი მეცნიერებანი — აეროდინამიკა, გაზის დინამიკა და დიდ სიჩქარეთა დინამიკა, რეაქტიული ძრავის თეორია, მსოფლიოში პირველი ავტოპილოტი და ა. შ.

მსოფლიოში პირველი თვითმფრინავი ააგო და ფრენაში გამოსცადა 1882 წელს რუსმა საზღვაო ინჟინერმა ა. ფ. მოჟაისკიმ.

დიდმა რუსმა მეცნიერმა დ. ი. მენდელეევმა 1875 წელს პირველმა შეიმუშავა სტრატოსტატის სქემა, ხოლო 1887 წელს იგი აეროსტატით 3.350 მეტრ სიმაღლეზე აფრინდა მზის დაბნელებაზე დაკვირვებისათვის. რუს გამომგონებელ კოტელნიკოვს ეკუთვნის პარაშუტის შექმნა, რუს კონსტრუქტორ გრიგოროვიჩს — მსოფლიოში პირველ ჰიდროთვითმფრინავთა გამოგონება.

რუსეთში გამოჩნდნენ საფრენოსნო საქმის პირველი ოსტატებიც, როგორიც იყვნენ მფრინავი გოლუბევი — მოჟაისკის თვითმფრინავის გამომცდელი, უმაღლესი პილოტაჟის ფუძემდებელი — ცნობილი რუსი მფრინავი პ. ნ. ნესტეროვი.

მაგრამ მეფის რუსეთის პირობებში საავიაციო მეცნიერება არ შეიძლებოდა მთელი სისრულით განვითარებულიყო. ნამდვილ აყვავებას საავიაციო მეცნიერებამ მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მიაღწია.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის წლებში სსრ კავშირში გაიზარდა მძლავრი მეტალურგიული, ალუმინის, მანქანათმშენებელი მრეწველობა და მრეწველობის სხვა დარგები. ჩვენმა ქვეყანამ შესაძლებლობა მიიღო საკმაო რაოდენობით ეშენებინა მსოფლიოში საუკეთესო მოწყობილობით აღჭურვილი პირველხარისხოვანი თვითმფრინავები. საბჭოთა სასწავლებლებმა მოამზადეს ნიჭიერი ინჟინრები და კონსტრუქტორები.

ჰიტლერული გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა ღირსეულად დაიცვეს თავიანთი სამშობლოს დამოუკიდებლობა, სასტიკად დაამარცხეს მტრის არმიები და ფაშისტური და იმპერიალისტური მონობის საფრთხისაგან იხსნეს ევროპისა და აზიის ხალხები.

მტერთან ბრძოლებში უმაგალითო გმირობა გამოიჩინეს ჩვენმა მფრინავებმაც. დიდი სამამულო ომის ისტორიაში ოქროს ფურცლებად ჩაიწერა საბჭოთა მფრინავების საგმირო საქმეები ბრძოლებში მოსკოვთან და სტალინგრადთან, ყუბანში და კურსკთან, სადაც საბოლოოდ გაცამტვერდა მითი ჰიტლერული ავიაციის უძლეველობის შესახებ, ჰიტლერული ავიაციისა, რომელმაც სასტიკი დამარცხება განიცადა. 1944 წლის შეტევით ოპერაციებში საბჭოთა ავიაციამ მთელი სისრულით გამოავლინა თავისი საბრძოლო უნარი.

ჰიტლერული გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის ურდოების წინააღმდეგ საბჭოთა არმიის ისტორიულ ბრძოლებში საბჭოთა ავიაციამ მოიპოვა უჭკნობი საბრძოლო დიდება, ღირსეულად შეასრულა თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს მამაცი მფრინავების დამსახურებას. 2.119 მფრინავმა მიიღო საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, 63 კაცს ორგზის მიენიჭა ეს მაღალი წოდება, ხოლო ორ სახელგანთქმულ მფრინავს — პოკრიშკინსა და კოჟედუბს ეს წოდება მიენიჭათ სამგზის.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება — ეს არის გამარჯვება საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისა, გამარჯვება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებისა, რომლებიც ეყრდნობიან კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი და მისი ხელმძღვანელობით მოქმედი მთელი ჩვენი ხალხის უმაგალითო სიმტკიცეს. საბჭოთა ავიაციისა და მთელი შეიარაღებული ძალების წარმატებანი შესაძლებელი იყო საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომის მეოხებით.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვება მოაწყო კომუნისტურმა პარტიამ და მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა ი. ბ. სტალინის მეთაურობით. პარტიამ უზრუნველყო სოციალიზმის აშენება სსრ კავშირში, აღზარდა საბჭოთა ხალხი, მოამზადა ჩვენი ქვეყანა აქტიური თავდაცვისათვის. პარტიამ დარაზმა და აღჭურვა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები, შექმნა და გაზარდა საბჭოთა ავიაცია. ომის მსვლელობაში პარტიამ მთელი ჩვენი ქვეყანა გადააქცია ერთიან სამხედრო ბანაკად, რომელიც მიისწრაფოდა ერთი მიზნის მიღწევისაკენ — მტრის განადგურებისაკენ.

პარტიის, მთავრობისა და მთელი საბჭოთა ხალხის მზრუნველობის მეოხებით ჩვენი ავიაცია მსოფლიოში ყველაზე მძლავრი და ყველაზე მოწინავე ავიაცია გახდა. საბჭოთა თვითმფრინავები და მოტორები თავისი ხარისხით სჯობია უცხოეთის ქვეყნების თვითმფრინავებსა და მოტორებს. უბადლო ოსტატები არიან ჩვენი მფრინავები. ფრენოსნობის, ჰაერნაოსნობის, საპარაშუტო და ავიასამოდელო სპორტის დარგში 224 მსოფლიო რეკორდიდან საბჭოთა ავიაციის სპორტსმენებს ეკუთვნით 69 რეკორდი, ანუ 30,8 პროცენტი. საბჭოთა მფრინავებმა საბჭოთა თვითმფრინავებზე ისწავლეს ფრენა ყველაზე მაღლა, ყველაზე შორს და ყველაზე სწრაფად, რითაც ასახელეს თავიანთი სამშობლო. სსრ კავშირი მსოფლიოს დიდი საავიაციო სახელმწიფო გახდა.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა ხალხმა დაუცხრომელი ენერგიით მოჰკიდა ხელი სახალხო მეურნეობის აღდგენასა და შემდგომ განვითარებას და ამ საქმეში უდიდესი წარმატებები მოიპოვა.

ახორციელებს რა კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებებსა და პარტიისა და მთავრობის შემდგომ დადგენილებებს, საბჭოთა ხალხმა ახალ შესანიშნავ გამარჯვებებს მიაღწია. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპების დონე ისეთია, როგორზე ოცნება არ შეუძლიათ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებსაც კი.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუხრელად ახორციელებენ მშვიდობისა და ყველა ქვეყანასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის პოლიტიკას. მშვიდობისათვის იმ დაუცხრომელი ბრძოლის შედეგად, რომელსაც ჩვენი ქვეყანა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებთან ერთად ეწევა, უკანასკნელ ხანს საერთაშორისო დაძაბულობის ერთგვარი შენელება მოხდა. საბჭოთა სამშვიდობო პოლიტიკამ ჩვენს სამშობლოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის დიდი ნდობა მოუპოვა, რაც სოციალისტური სახელმწიფოს უძვირფასეს მორალურ კაპიტალს შეადგენს.

მაგრამ საბჭოთა ადამიანები ჩვეული არიან ვითარების ფხიზლად შეფასებას. იმპერიალისტური ძალები ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით მშვიდობის მოწინააღმდეგენი არიან, მათ ხელი არ აუღიათ თავიანთ აგრესიულ განზრახვებზე და აშკარად ეწევიან საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ახალი ომის მომზადების პოლიტიკას.

ამიტომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, ყველა ღონისძიებით აფართოებენ რა მშვიდობიანი მშენებლობის ფრონტს, დაუცხრომლად ზრუნავენ საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები აღჭურვილი არიან პირველხარისხოვანი საბრძოლო ტექნიკით, ჰყავთ თავისი ხალხის ერთგული და ბრძოლებში გამოწრთობილი კადრები. ისინი დაუფლებული არიან ყველაზე მოწინავე საბჭოთა სამხედრო მეცნიერებას, რომელიც შემუშავებულია მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის მოძღვრების საფუძველზე და შემოწმებულია დიდ სამამულო ომში.

სსრ კავშირის მთელ შეიარაღებულ ძალებთან ერთად განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება და იზრდება ჩვენი საბჭოთა ავიაცია, რომელიც გარემოსილია ხალხის სიყვარულით და მთავრობის მზრუნველობით. სოციალისტური მრეწველობა მას საკმაოდ ამარაგებს პირველხარისხოვანი რეაქტიული და სხვა თვითმფრინავებითა და საჭურველით, რომლებიც შექმნილია საბჭოთა მეცნიერებისა და კონსტრუქტორების უახლესი ტექნიკური აზრის საფუძველზე. მფრინავები და შტურმანები, ინჟინრები და ტექნიკოსები, მექანიკოსები და უმცროსი სპეციალისტები დაუცხრომლად ეუფლებიან ამ ტექნიკას. შესრულებული მუშაობის შედეგად საბჭოთა ავიაციამ, რომელმაც შეითვისა დიდი სამამულო ომის გამოცდილება და პრაქტიკულად ეუფლება უახლეს სამხედრო ტექნიკას, უკანასკნელ წლებში დიდი ნაბიჯი გადადგა წინ თავისი ორგანიზაციის, ოპერატიულ-ტაქტიკური მომზადებისა და საბრძოლო ძლიერების გადიდების დარგში. მაგრამ განუწყვეტელი წინსვლის სულისკვეთებით აღზრდილი საბჭოთა ავიატორები მიღწეულით არ კმაყოფილდებიან. ისინი განუწყვეტლივ განამტკიცებენ ქვეგანაყოფებისა და ნაწილების ბრძოლისუნარიანობას, რათა ყოველ წუთს მზად იყონ ღირსეულად შეასრულონ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დაცვის ამოცანა, რომელიც მათ საბჭოთა ხალხმა მიანდო.

მნიშვნელოვნად განვითარდა სამოქალაქო ავიაციაც, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის საჭიროებანი. რამდენჯერმე გაიზარდა ტრასები ავიაციისა, რომელსაც ტვირთები გადააქვს და მგზავრები გადაჰყავს. საჰაერო ტრასები მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით და ისინი შესაძლებელს ხდიან ფრენას ყოველ ამინდში, ზამთარ-ზაფხულ, დღისით და ღამით.

ავიაცია მტკიცედ შევიდა ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყოფაცხოვრებაში, ეხმარება მათ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულებაში. სულ უფრო და უფრო მატულობს სახალხო მეურნეობის იმ დარგების რაოდენობა, რომლებშიც წარმატებით იყენებენ ავიაციას.

სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის შემდგომი განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობ ნებაყოფლობით საზოგადოებას, რომელიც მშრომელთა შორის საავიაციო ცოდნის ფართო პროპაგანდას ეწევა.

ავიაციის დღეს სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის პირადი შემადგენლობა საბჭოთა ხალხის წინაშე ახდენს თავისი მიღწევების დემონსტრირებას, უპატაკებს თავის სახელოვან კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას, რომ მზად არის მოიგერიოს აგრესორთა ყოველი დარტყმა და სძლიოს იმავე იარაღით, რომლითაც ისინი შეეცდებიან თავს დაესხან ჩვენს ქვეყანას.

საავიაციო მრეწველობის მუშაკები, საჰაერო სპორტსმენთა მრავალათასიანი არმია და მთელი საბჭოთა ხალხი ამ დღეს აგრეთვე ცხადყოფენ თავიანთ მტკიცე გადაწყვეტილებას კვლავაც დაუცხრომლად განამტკიცონ ძლიერება თავიანთი საჰაერო ფლოტისა, რომელიც ფხიზლად დარაჯობს საბჭოთა ადამიანების მშვიდობიან შემოქმედებით შრომას, საბჭოთა ადამიანებისა, რომლებიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცე რწმენით მიდიან წინ, კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ.

მთელი საზოგადოების საქმე

საბჭოთა კონსტიტუციის მზით გამთბარ ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოში მატერიალურად უზრუნველყოფილი და მაღალი კულტურის მქონე საზოგადოებისათვის განსაკუთრებით უცხო და ძნელად ასატანია ხულიგნობის, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევები. საზოგადოება აღშფოთებით კიცხავს ყველა იმას, ვინც არღვევს მის მყუდროებას, ვისაც არაფრად მიაჩნია ადამიანების შეწუხება, ვინც აბუჩად იგდებს მოქალაქის ღირსებასა და თავმოყვარეობას.

საზოგადოების ამ სამართლიანი ინტერესების ერთ-ერთი დამცველი არიან მილიციის ორგანოები. მაგრამ მილიციის ერთეული მუშაკები, რომლებიც საზოგადოებრივ ადგილებში, ქუჩებში, რესტორანებში წესრიგის დარღვევისა და ხულიგნობის შემთხვევებს აწყდებიან, ხშირად ვერაფერს გააწყობენ ასეთი შემთხვევების აღსაკვეთად, თუ მათ მოქალაქეები არ დაუჭერენ მხარს. სამწუხაროდ ჯერ კიდევ ვხვდებით ისეთ ფაქტებს, რომ ზოგიერთი მოქალაქე ხელს არ უწყობს მილიციის მუშაკებს მათი მოვალეობის შესრულებაში. არიან ადამიანები, რომლებიც გულგრილად, აუღელვებლად უცქერიან წესრიგის დარღვევას, ხმასაც არ იღებენ, თუ წესრიგის დარღვევა ან ხულიგნობა უშუალოდ მათ არ ეხება, ხოლო საქმეში მილიციის მუშაკის ჩარევისას ზოგჯერ დამნაშავის მოსარჩლედაც კი გამოდიან.

ადამიანთა ქცევის ნორმების შესრულება ყველასათვის ერთნაირად სავალდებულოა. მაგრამ წარსულის მძიმე მემკვიდრეობა ზოგიერთ მოქალაქეში ჯერ კიდევ მთლიანად არ არის აღმოფხვრილი. ამაში ბრალი მიუძღვით მშობლებსაც, სკოლასაც, მასობრივ-აღმზრდელობით ორგანიზაციებსაც. ამაში ბრალი მიუძღვის ყველა იმ მოქალაქეს, რომელსაც თავისი გულგრილობით და უდარდელობით დისონანსი შეაქვს საზოგადოებრივ აზრში. ნაცვლად იმისა, რომ გაკიცხოს, სამარცხვინო ბოძზე გააკრას წესრიგის დამრღვევი, ხულიგანი, დამნაშავე, ესარჩლება მათ.

მოქ. ლევსკი მარტო მშობელი როდია. იგი საბჭოთა პედაგოგის საპატიო სახელსაც ატარებს. მაგრამ როგორ მოხდა, რომ მშობელმა და პედაგოგმა ლევსკიმ ვერ შეძლო თავისი შვილის ვალოდია ლევსკის აღზრდა? ვალოდია არაერთხელ ყოფილა შემჩნეული წვრილ ქურდობაში, არაერთხელ გაუფრთხილებიათ მილიციის ორგანოებს მისი მშობელი. მაგრამ შედეგი? — ბავშვმა არ მიატოვა თავისი დანაშაულებრივი მოქმედება, ცხადია იმიტომაც, რომ მშობელი სათანადოდ არ დაეხმარა მილიციის ორგანოებს.

სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია სამხატვრო აკადემიის სტუდენტების გ. კიკნაველიძის, მ. შენგელიას, დ. კიკვაძის ხულიგნურმა მოქმედებამ. ისინი მთვრალები, გვიან ღამით ხმამაღალი სიმღერით იკლებდნენ ქუჩას, ვინ იცის რამდენი მოქალაქე შეხვდა მათ, მაგრამ ხულიგნებს წესრიგისკენ არავინ მოუწოდა. ლენინის ქუჩის დასაწყისიდან ბოლომდე განაგრძობდნენ სიმღერას, აწუხებდნენ გამვლელებსაც და მოსახლეობასაც. ეს უღირსი სტუდენტები მას შემდეგაც განაგრძობდნენ სიმღერას, რაც მილიციის განყოფილებიდან გამოვიდნენ, სადაც გაფრთხილება მიიღეს, რომ შეეწყვიტათ ქუჩაში სიმღერა. წესრიგისაკენ მოწოდებამ მათთან არ გასჭრა.

სწორად მოიქცა სამხატვრო აკადემიის დირექცია, როცა ერთი მათგანი სასწავლებლიდან გარიცხა, ხოლო დანარჩენებს სხვადასხვა სასჯელი დაადო. მაგრამ ვფიქრობთ ასეთი ზომები საჭირო არ იქნებოდა, აკადემია თავიდანვე რომ შეცდილიყო გამოესწორებინა თავისი სტუდენტები, აემაღლებინა მათი შეგნების დონე.

საზოგადოებისადმი უპატივცემლობის, თავხედობის, ხულიგნური მოქმედების გამოვლინება იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტის შ. ღლონტის საქციელი. მთვრალი „სტუდენტი“ ტრამვაის ვაგონში უწმაწურად იგინებოდა. მისთვის არავის არაფერი დაუშავებია, მაგრამ ხულიგანი კვლავ განაგრძობდა ვაგონში მსხდომთა აბუჩად აგდებას. ვაგონში არც ერთი მოქალაქე არ აღმოჩნდა ისეთი „გაბედული“, რომ ხულიგნისათვის წესრიგისაკენ მოეწოდებინა. მთვრალმა ხულიგანმა ეს საზოგადოების სიმპატიად და მხარდაჭერად მიიჩნია და უფრო გააძლიერა გინება, როცა მას მილიციის მუშაკმა წესრიგისაკენ მოუწოდა. აღმაშფოთებელი იყო, რომ მილიციის მუშაკი მარტოდმარტო დარჩა ამ პირწავარდნილ ხულიგანთან, მისთვის არც ერთ მოქალაქეს მხარი არ დაუჭერია.

ახლომახლო მყოფ მოქალაქეებს უთუოდ შეეძლოთ ამას წინათ რესტორან „გემოში“ მომხდარი უბედური ინციდენტის თავიდან აცილება, რომ ისინი დროზე აქტიურად ჩარეულიყვნენ მთვრალ მოდავეთა გაზავებაში. აქ მ. ეგანოვმა, რ. ბარათაშვილმა, ნ. დუმბაძემ სასიკვდილოდ დაჭრეს მოქ. ნ-ძე და მძიმედ — მოქალაქე ზ-ძე. მოდავეთა ახლოს მყოფთ — არც რესტორანის თანამშრომლებს და არც სხვა მოქალაქეებს ზომები არ მიუღიათ ამ სისხლიანი ინციდენტის თავიდან ასაცილებლად.

ხულიგნობასთან, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასთან ბრძოლა მთელი საზოგადოებრიობის მოვალეობაა. მილიციის ორგანოები, მისი ცალკეული მუშაკები მუდამ მხარდაჭერას უნდა გრძნობდნენ მოქალაქეებისაგან, საზოგადოებისაგან თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს.

მ. ციციაძე,
ქ. თბილისის მილიციის მე-18 განყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ამას წინათ რედაქციამ თერჯოლის რაიონიდან წერილი მიიღო. წერილში მხილებული იყო სოფელ ეწერის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირის წევრებისა და კომკავშირგარეშე ახალგაზრდების მიერ საკოლმეურნეო შრომისათვის თავის არიდების ფაქტები.

ამ წერილთან დაკავშირებით საქართველოს ალკკ თერჯოლის რაიკომის მდივანი ამხ. თ. ქარქაშაძე გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. საკითხი განიხილა რაიკომის ბიურომ. სოფელ ეწერის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანს ამხ. გ. უკლებას კომკავშირელებსა და ახალგაზრდობაში შრომის მოუწესრიგებლობისა და სუსტი მუშაობისათვის ბიურომ მითითება მისცა, ხოლო კომკავშირის წევრებს: ქ. ხვარეშიას, თ. სულამანიძეს და ვ. წკეპლაძეს საკოლმეურნეო შრომისათვის თავის არიდების გამო საყვედური გამოუცხადა. დასახულია ღონისძიებანი წერილში მხილებულ სხვა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

დიდი ქართველი მეცნიერი



კ. კეკელიძე.

◆

გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს კორნელი სამსონის-ძე კეკელიძეს დაბადების 75 და სამეცნიერო მუშაობის 50 წლისთავი შეუსრულდა. ეს ღირსშესანიშნავი თარიღი ჩვენმა საზოგადოებრიობამ გულთბილად აღნიშნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის და სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე.

საიუბილეო სხდომას განსაკუთრებული ელფერი ჰქონდა იმიტომაც, რომ ძველი ქართული ლიტერატურის მხცოვანი მკვლევარი პროფესორი კორნელი კეკელიძე ქართული კულტურის ამ ორი დიადი კერის შექმნის, გაზრდისა და დავაჟკაცების ღვაწლმოსილი მონაწილეა.

მეტად ღრმაშინაარსიანი და მრავალფეროვანია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის პროფესორ კ. კეკელიძის ნახევარი საუკუნის სამეცნიერო მოღვაწეობა. მოკლე საგაზეთო წერილში შეუძლებელია სრული სახით ვაჩვენოთ ის დიდი ამაგი, რომელიც კ. კეკელიძემ ქართული საბჭოთა მეცნიერების განვითარებას დასდო.

კორნელი კეკელიძე სამეცნიერო ასპარეზზე 1904 წელს გამოვიდა. მან, როგორც მკვლევარმა, საზოგადოების ყურადღება სტუდენტობის პერიოდში მიიპყრო. კიევის სასულიერო აკადემიის ჯერ კიდევ ახალგაზრდა სტუდენტმა დაწერა საკანდიდატო დისერტაცია **„Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах“**. ამ მონუმენტურმა ნაშრომმა მის ავტორს ჭეშმარიტი მკვლევარის სახელთან ერთად მალე მაგისტრის წოდებაც მოუპოვა. კ. კეკელიძის პირველ მეცნიერულ წარმატებებს „ივერია“ 1904 წელს აღფრთოვანებით შეხვდა. გაზეთი თავის მკითხველებს აუწყებდა, რომ ახლადკურსდამთავრებული ახალგაზრდა ქართველი კიევის სასულიერო აკადემიის პროფესორთა კრების გადაწყვეტილებით დატოვებულ იქნა აკადემიაში სტიპენდიანტად, ე. ი. საპროფესოროდ მოსამზადებლად. მეფის რუსეთის სინოდმა არ მოიწონა ძველი ქართული სასულიერო მწერლობისადმი ასეთი ყურადღება და არ დაადასტურა აკადემიის საბჭოს დადგენილება. ამ გარემოებამ გული ვერ გაუტეხა ნიჭითა და ენერგიით აღსავსე ახალგაზრდა მკვლევარს. კ. კეკელიძემ, 1905 წელს დაიწყო რა ქუთაისში მასწავლებლობა, ხელი მოჰკიდა გელათის ხელნაწერთა მდიდარი კოლექციის შესწავლას. ჯერ ქუთაისში, ხოლო შემდეგ თბილისში კ. კეკელიძე დიდი ხალისით სწავლობს ძველ ხელნაწერებს, ადგენს მათ აღწერილობას და გზადაგზა აქვეყნებს თვალსაჩინო ძეგლებს.

საქართველოს სიძველეთსაცავებში კ. კეკელიძის მიერ აღმოჩენილმა და ბრწყინვალედ გამოცემულმა ძეგლებმა ძველ ქართულ მწერლობას შორის გაუთქვა სახელი. გამოირკვა, რომ ალ. ცაგარლის, ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის მიერ ათონზე, სინასა და იერუსალიმში აღმოჩენილ ხელნაწერებზე ნაკლები მნიშვნელობისა როდია აქ, საქართველოში შემონახული, აქამდე მეცნიერულად შეუსწავლელი სასულიერო მწერლობის მრავალი ათეული კრებული. კ. კეკელიძემ წლების განმავლობაში შეუნელებელი ფილოლოგიური კვლევა-ძიებით დაამტკიცა, რომ ძველი ქართული მწერლობის შესწავლას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქართული კულტურის, არამედ მსოფლიოს ქრისტიანული კულტურის ისტორიისთვისაც. კ. კეკელიძემ აღმოაჩინა და გამოსცა მსოფლიო მნიშვნელობის რამდენიმე ძეგლი, რომელთა დედანი დაკარგულად ითვლება და მათი ორიგინალის მოვალეობას ახლა ძველი ქართული თარგმანი ასრულებს. ამ მხრივ აღსანიშნავია, მაგალითად, სვიმეონ ლოღოთეტის, იოანე ქსიფილინოსის და სხვათა მოღვაწეობის დამახასიათებელი ფაქტებისა და თხზულებების აღმოჩენა.

ძველი ქართული მწერლობის ამგვარი მნიშვნელობა შესანიშნავად აქვს წარმოდგენილი თვით პროფესორ კ. კეკელიძეს. „ქართულ ლიტერატურას მტკიცე, განუყრელი კავშირი ჰქონდა წინა აზიის და დასავლეთის ხალხთა ლიტერატურასთან, სახელდობრ: სპარსულთან, სომხურთან, სირიულთან, არაბულთან, ბერძნულთან, რუსულთან და (დასავლეთ) ევროპულთან; ამიტომ მან შემოგვინახა უძველესი პერიოდის თარგმანებში ისეთი ძეგლები, რომელთა ორიგინალი დროთა მსვლელობაში დაკარგულია და მეცნიერებაში საძიებელი გახდარა“.

პროფესორი კ. კეკელიძე მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემებისა და ისტორიულ-ლიტერატურული კვლევაძიების დროს დიდ ყურადღებას აქცევს ხალხების ურთიერთდამოკიდებულებას. ახლა ნათლად გარკვეულია, რომ ქართველი მოღვაწეები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ბიზანტიური კულტურის შექმნასა და განვითარებაში.

ღრმა მეცნიერული ერუდიციით განირჩევიან კ. კეკელიძის მიერ დიდი სიყვარულით გამოცემული კიმენური ძეგლები, სათანადო კომენტარებითურთ (ორი ტომი). კიმენური ჰაგიოგრაფია ქართულ ენაზე, ნათარგმნი და ორიგინალური, მეტად მდიდარია. კ. კეკელიძემ 253-ზე მეტი ასეთი ძეგლი აღრიცხა და ცნობები მათ შესახებ სისტემატური საძიებლის სახით შეიტანა თავისი „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველ ტომში (მეორე გამოცემა). „კიმენის“ გამოქვეყნებით ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში კ. კეკელიძემ შემოიტანა VIII-X საუკუნეების მრავალი ძეგლი. საილუსტრაციოდ საკმარისი იქნება, თუ ვიტყვით, რომ „კიმენის“ მეორე ტომში დაბეჭდილი 13 ნაწარმოებიდან 8 თხზულების შესახებ ბიზანტოლოგებს აქამდე ცნობები არ მოეპოვებოდათ.

კ. კეკელიძეს მხოლოდ სასულიერო შინაარსის ძეგლების გამოქვეყნება როდი იზიდავდა. ის ასეთივე გატაცებით მუშაობდა და მუშაობს საერო მწერლობის ნაწარმოებთა გამოცემაზე („ვისრამიანი“, „ვეფხისტყაოსანი“, „როსტომიანი“, „შვიდი მთიები“, „კალმასობა“, „ისტორიანი და აზმანი“ და სხვ.).

პირველწყაროებზე ხანგრძლივმა დაკვირვებამ და ძეგლების ფილოლოგიურ-კრიტიკულმა ანალიზმა პროფესორ კ. კეკელიძეს საშუალება მისცა შეექმნა ძველი ქართული მწერლობის სისტემატური კურსი, რაც რევოლუციამდე მხოლოდ საოცნებო საგანს წარმოადგენდა.

პროფესორ კ. კეკელიძის კალამს 250-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი ეკუთვნის; მათ შორის ბევრია სქელტანიანი. ასეთ წიგნთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ საბჭოთა პერიოდში შექმნილი ორტომიანი „ქართული მწერლობის ისტორია“ (არსებობს მისი სამი გამოცემა). კ. კეკელიძის „ქართული მწერლობის ისტორია“ ჩვენი ლიტერატურათმცოდნეების, ისტორიკოსების, ენათმეცნიერების, საერთოდ ქართული კულტურის მკვლევართა სამაგიდო წიგნს წარმოადგენს. ამ მონუმენტურ ნაშრომში შეჯამებულია კ. კეკელიძის 50 წლის შეუნელებელი სამეცნიერო კვლევა-ძიება. იგი ძვირფასი საჩუქარია ქართული კულტურის ფრონტის მუშაკთათვის. ამიტომ ისინი ყოველთვის მადლობის გრძნობით იხსენიებენ ჯერ კიდევ ჯანღონით აღსავსე 75 წლის მხცოვან მეცნიერს.

პროფესორი კორნელი კეკელიძე გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეა. ის მონაწილეობდა მრავალი სამეცნიერო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობაში, არჩეული იყო თბილისის საბჭოს დეპუტატად (1927-1929, 1931 წ.წ.), საქართველოსა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად (1927-29 წ. წ.). წლების მანძილზე იყო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, უნივერსიტეტის პრორექტორი, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი. კორნელი კეკელიძემ მრავალრიცხოვანი სამეცნიერო და პედაგოგიური კადრები აღზარდა.

პროფესორ კ. კეკელიძის სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ღირსეულად აფასებს საბჭოთა ხელისუფლება. 1943 წელს მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, დაჯილდოებულ იქნა ორჯერ შრომის წითელი დროშის ორდენით და ორჯერ საპატიო სიგელით. მიმდინარე წელს პროფესორ კ. კეკელიძეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი მიანიჭა.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი მისთვის ჩვეული ენერგიით ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობას ეწევა თბილისის უნივერსიტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში. სულითა და გულით ვუსურვებთ მას ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ მიღწევებს სამეცნიერო მუშაობაში.

პროფესორი მიხეილ ჩიქოვანი.

თამარ ჭავჭავაძის შემოქმედებითი საღამო

1922 წლის 25 [illegible] სცენაზე დიდმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა განახორციელა [illegible] „ცხვრის წყაროს“ დადგმა. ამ სპექტაკლის [illegible] იყო ახალგაზრდა მსახიობი თამარ ჭავჭავაძე, რომელმაც ლაურენსიას დაუვიწყარი სახე შექმნა. ამ დღიდან თ. ჭავჭავაძე იქცა ქართული საბჭოთა სცენის თვალსაჩინო ძალად და მაყურებელთათვის უსაყვარლეს მსახიობად. 30 წელზე მეტია, რაც თ. ჭავჭავაძე თავდადებით, საქმის უანგარო სიყვარულით და უშრეტი ენერგიით ემსახურება საბჭოთა თეატრალური ხელოვნების აყვავების საქმეს.

თ. ჭავჭავაძის აქტიორული ინდივიდუალური შემოქმედებითი თვისებები — ცეცხლოვანი ტემპერამენტი, უშუალობა და ქართული სასცენო მეტყველების მაღალი კულტურა საწინდარი იყო ისეთი დაუვიწყარი სახეების შექმნისა, როგორებიც არის ლაურენსია, პეგინ მაიკ (სინგის „გმირში“), მამაევა (ოსტროვსკის „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“), ზეინაბი (სუმბათაშვილის „ღალატში“), ემილია (შექსპირის „ოტელოში“), მადამ სან ჟენი (სარდუს ამავე სახელწოდების პიესაში), ფატი (შ. დადიანის „ნაპერწკლიდან“), ოთარაანთ ქვრივი (ი. ჭავჭავაძის ამავე სახელწოდების ნაწარმოებიდან), დარეჯანი (ი. მოსაშვილის „მისი ვარსკვლავი“), ხანუმა (კინოსურათში „ქეთო და კოტე“) და მრავალი სხვა.

ქართველი საზოგადოებრიობა დიდად აფასებს რესპუბლიკის სახალხო არტისტის თ. ჭავჭავაძის სასცენო მოღვაწეობას. ამის დამადასტურებელია ის დიდი ინტერესი, რაც გამოიწვია მისმა შემოქმედებითმა საღამომ, რომელიც ამ დღეებში გამართა საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ა. ხორავამ. მსახიობის შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ბ. ჟღენტმა. მოგონებებით და მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ თეატრალური მოღვაწეები ა. ვასაძე, ვ. ანჯაფარიძე, გ. დავითაშვილი, ა. წუწუნავა, ე. სატინა, კ. ანდრონიკაშვილი, მ. ზეროიანი, გ. კუპრაშვილი, ს. ცომაია, დ. ჩხეიძე, მწერლები გ. ლეონიძე, ს. ფაშალიშვილი, რ. ქორქია, მ. მრევლიშვილი, საქართველოს ფილარმონიის სახელით მსახიობი ტ. მახარაძე, თეატრალური ინსტიტუტის სახელით სტუდენტი რ. ყენია.

თ. ჭავჭავაძეს მისი სამშობლოს — ყვარლის მშრომელთა სახელით მიესალმა სოციალისტური შრომის გმირი ს. ბუჯიაშვილი, ხოლო თბილისში საგასტროლოდ მყოფი ლვოვის უკრაინული დრამატული თეატრის სახელით — უკრაინის სსრ სახალხო არტისტი ბ. ტიაგნო. მსახიობს მიართვეს ცოცხალი ყვავილების თაიგულები და ძვირფასი საჩუქრები.

თ. ჭავჭავაძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას. მხატვრულ განყოფილებაში თ. ჭავჭავაძისა და თბილისის თეატრების საუკეთესო არტისტული ძალების მონაწილეობით წარმოდგენილ იქნა ნაწყვეტები სპექტაკლებიდან: „ღალატი“, „ოთარაანთ ქვრივი“, „მადამ სან ჟენი“, რის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი.

გ. ძნელაძე.

ახალი მუსიკალური ნაწარმოებები

საქართველოს სსრ მუსიკალური ფონდის გამომცემლობამ გამოსცა ქართველი საბჭოთა კომპოზიტორების ახალი ნაწარმოებები.

გამოცემულია ა. მაჭავარიანის ოთხი სიმღერა გუნდისათვის, ვ. გოკიელის — „სულიკო“, რ. ლაღიძის — „ნანინა“ ჩელოსათვის ფორტეპიანოსთან ერთად, ვ. კუპრაძის სამი პიესა ფორტეპიანოსათვის, ა. ბალანჩივაძის — „ვალსი“, ა. შავერზაშვილის ორი სიმღერა ჩელოსათვის — „გაფრინდი ჩემო მერცხალო“, „ნუ გიყვარს ქალო“, ო. ბარამიშვილის — „ახალგაზრდობის ვალსი“, შ. მშველიძის — „მარში“ სასულე ორკესტრისათვის, ა. კერესელიძის ლირიკული სიმღერა — „ყელსაბამი“ და სხვ.

დიდ სახალხო ზეიმთან — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავთან დაკავშირებით გამომცემლობამ დაბეჭდა ქართველი კომპოზიტორების ვოკალურ ნაწარმოებთა კრებული. კრებულში შესულია კომპოზიტორების ვ. ცაგარეიშვილის, ა. ჩიმაკაძის, გ. ჩხიკვაძის, დ. ჩხეიძის, მ. დავითაშვილის, ტ. ბაქრაძის, ო. ბარამიშვილის ნაწარმოებები.

წლის ბოლომდე გამოვა ქართველი კომპოზიტორების 40 საგუნდო სიმღერა, 20 რომანსი და სიმღერა.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

აფხაზეთის „ლიტერატურული ალმანახი“

ლიტერატურული ალმანახის მეექვსე წიგნში, რომელიც აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა, ოცდაცამეტი ავტორია წარმოდგენილი. მათ შორის არიან როგორც პროფესიული მწერლები, ისე ახალგაზრდა ავტორები.

წიგნში მოთავსებული ლექსებიდან გამოირჩევა: აფხაზეთის სახალხო პოეტის დ. გულიას „პარტია“, ი. თარბას „ვოლგა“, „ორი ზღვა“ და „მემანქანე გოგონა“, ა. ჯონუას „ქვისმთლელი“, დ. გიგიბერიას „მოგონება პირველ ტრაქტორზე“ და „ფოტოკორესპონდენტი“, მ. ქოიავას „თქვენთან, ვოლგელო ამხანაგებო“ და „ვოლგელ ასულს“, ა. ჯინჯოლიას „რუს გოგონას“, კ. ლომიას „გზები“, ა. თოფურიას „ბალადა უკვდავ წიგნზე“, გ. გუბლიას „პირველი მერცხალი“, პ. ოდიშარიას „სიმღერა სამშობლოზე“, შ. აკობიას პოემა „ჩემი მასწავლებელი“. მათში ავტორები უმღერიან სოციალისტურ სამშობლოს, პარტიას, მშვიდობასა და ხალხთა შორის მეგობრობას.

დ. გულია ლექსში „პარტია“ პოეტური ფერებით გვიხატავს კომუნისტურ პარტიას, როგორც ყოვლისშემძლე და ხალხის წარმმართველ ძალას. ავტორის გააზრებით, მზეზე უფრო ნათელია პარტიის სითბო და სინათლის ელვარება.

აი მზე ხმელეთს ანათებს, ათბობს,
მაგრამ პარტიას — უდიდეს მნათობს,
მეტი აქვს ძალა: ღამით თუ დღისით,
გულებში გვხვდება სიცოცხლე მისი.

პოეტი ი. თარბა ლექსში „ვოლგა“ შესანიშნავად აგვიწერს, თუ რაოდენი წვლილი შეაქვს ამ მდინარეს ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის განვითარებაში, რა უხვად აწვდის წყალს სარწყავი არხებით მზით გადამწვარ მინდორ-ველებს, რომ იმატოს პურის მოსავალმა. ავტორი ამბობს:

აი გმირმა მიუშენა არხი გვერდით,
და ველების მოსარწყავად წაიყვანა,
ის ლექსშიაც სტრიქონების არხით შედის,
რომ სტროფებმა უგალობონ პურის ყანას.

კარგად არის ჩაფიქრებული შ. აკობიას პოემა „ჩემი მასწავლებელი“. მხატვარი კაპიტანი პილატოვი თავისი დანაყოფით შეიჭრება მშობლიურ სოფელში, მაგრამ იგი გადამწვარი ხვდება, დედა — სახლის ნაცეცხლარში ჩაფერფლილი, ხოლო და — სახრჩობელაზე ჩამოკიდებული. პილატოვი არ ივიწყებს ამ გულსაკლავ სურათს. ომის შემდეგ მას ხატავს იმ განსხვავებით, რომ სახრჩობელაზე დაკიდებულ დას ძმა წყალს მიაწვდის, გადაარჩენს. საინტერესოა, რომ პილატოვი იქვე გვერდით ხატავს აგრეთვე მასთან ბრძოლაში მონაწილე ქართველ მასწავლებელს გრიგოლ გვალიას, რომელმაც თვალები დაკარგა, მაგრამ მხატვარმა სურათში მხედველობა მასაც შეუნარჩუნა, როგორც დას — სიცოცხლე.

გალერიაში ნახატმა მისმა
ყველა ქმნილება უცბად დაჩრდილა.
სინამდვილეში და ველარ ახსნა,
მაგრამ სურათში გადაარჩინა.

პოემა „ჩემი მასწავლებლის“ ზოგიერთი ეპიზოდი სალი პოეტური გააზრებით არის დაწერილი, მაგრამ ბევრგან საკმაოდ არ იგრძნობა პოეტის ოსტატური ხელი. ნაწარმოები გადატვირთულია ზედმეტი ამბების თხრობით. მაგალითად, დიდი ნაწილი შესავალს უჭირავს, რომელიც არა თუ რაიმეს მატებს პოემას, არამედ ხელს უშლის მისი სიუჟეტის დინამიკურ განვითარებას. ავტორს ძალიან ცოტა გაუკეთებია მოქმედი პირების გარკვეულად გამოკვეთისათვის. საჭიროა ამ ნაწარმოებზე მუშაობის განგრძობა.

წიგნში დაბეჭდილია სუსტი ლექსებიც. მცირეა მათი მხატვრულ-ლიტერატურული ღირსებანი, ისინი არც თემატიკურად დგანან საჭირო სიმაღლეზე. მაგალითად, ს. აბდალაძის ლექსში „წითელ ფერს ვენდობი მუდამ“, რომლის თემად პოეტს აღებული აქვს ერთ-ერთი ქუჩის შუქნიშანი, თემა მეტად პრიმიტიულად არის გაშუქებული, არ იგრძნობა აზრის სინათლე და მკაფიობა.

სუსტი პოეტური ნაწარმოებებია ა. ჯონუას „აკარმარა“, „აფხაზეთის სანაპირო“, დ. გიგიბერიას „რას ფიქრობს დონი როსტოვთან“, „ჟიგულისთან ნანატრი“, მ. ქოიავას „ისევ ვოლგაზე“, ჯ. ნიქაბაძის „მტკვრის ბალადა“, ვ. ბულისკერიას „მზე და ზღვა“, ა. ჯიქაას „მთისკენ წამო“ და ბევრი სხვა. მათი გამოქვეყნება ალმანახის ფურცლებზე არაფრით არ არის გამართლებული. საჭიროა ახალგაზრდა ავტორებთან გულდასმით მუშაობა და არა მათი მოუმწიფებელი ლექსების განუკითხავი ბეჭდვა.

მკითხველის ყურადღებას იპყრობს მწერალ ქ. გოგიავას მოთხრობები: „მეჩონგურე“ და „პირველი დღე“. „მეჩონგურე“ თემატიკურად თუმცა ახალი აღარ არის, მაგრამ მოთხრობაში ვხედავთ ახალ ტიპებს თავიანთი საინტერესო თვისებებით და ხასიათებით. ესენი არიან: მელანო, მეწისქვილე, სტეფანე და ა. შ. ავტორი ქმნის ბევრ კარგ მხატვრულ სახეს, რომელიც მომხიბლავ ელფერს და მიმზიდველობას აძლევს ნაწარმოებს.

მეორე მოთხრობა „პირველი დღე“, აქტუალურ თემას ეხება, ასახავს ახალგაზრდა კადრების მომზადების და გამოყენების იდეას, მაგრამ მასში მოიპოვება ბევრი დაუჯერებელი ადგილი. არ არის მართალი, რომ თბილისიდან გაგზავნილი აგრონომი ქალი ელენე ხორბალაშვილი ისე მიდის კოლმეურნეობაში და იწყებს მუშაობას, რომ პირველად არ ცხადდება არც რაიკომში, არც კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან. იულონი, სოფლის საექიმო პუნქტის გამგე, იმის ნაცვლად, რომ ავადმყოფებთან მუშაობაში იყოს ნაჩვენები, გახსნილი იყოს მისი შინაგანი სამყარო, მკითხველს წარმოუდგება როგორც უსაქმური, უნებისყოფო ახალგაზრდა. საექიმო პუნქტშიც გასაკეთებელი არაფერი აქვს, რადგან თურმე სოფელში არც ერთი ავადმყოფი არ არის...

ასეთი ადგილები მოთხრობაში ცოტა როდია. ავტორს მათ აღმოსაფხვრელად სერიოზული მუშაობა დასჭირდება.

სწორად არ არის გახსნილი სიუჟეტი მ. დგებუაძის მოთხრობაში „არიან თუ არ არიან“. მასში მწერალს სურს დაგვიხატოს, რომ ჩვენში თაღლითები მოიპოვებიან, მაგრამ სიტუაცია რეალური არ არის და ღრმა შთაბეჭდილებას ვერ ტოვებს. მეორე მოთხრობაში „მეგობრები“ ავტორი კოლმეურნეობაში ჩაის კრეფის გეგმების შეუსრულებლობის მიზეზად მარტო იმას თვლის, რომ კოლმეურნეები თურმე წვიმიან დღეებში ფოთოლს არ კრეფენ და ახალგაზრდა კოლმეურნე ქალი ნანული ცოტა მოიხარმაცებს. „მეგობრებში“ ძალიან მკრთალად არიან დახატული მოქმედი პირები.

ზურაბ ნაყოფია მოთხრობებში „უკვდავება“ და „გამარჯვებულნი“ დამაჯერებლად არ ასახავს სინამდვილეს. მაგალითად, მოთხრობაში „გამარჯვებულნი“ არის ასეთი ადგილი: ერთ-ერთ შახტში კომბაინს რაღაც ნაწილი უფუჭდება და ჩერდება, რის გამო ცვლის გეგმა არ სრულდება. მალე მემანქანე კომბაინს წესრიგზე მოიყვანს და აამოქმედებს. ცვლაც თავის ხუთი წლის გეგმას რამდენიმე საათში ასრულებს. ცხადია, ასეთი გულუბრყვილო სცენა მკითხველებზე ვერავითარ ეფექტს ვერ მოახდენს. შედარებით უკეთესია „ჭრელი თავსაფარი“.

ახალგაზრდა მწერლის ი. თოლორდავას მოთხრობებში მჟღავნდება, რომ ავტორი საგრძნობლად დაუფლებია ლიტერატურულ ენას, თხრობის მანერას. მოთხრობაში „ნანატრი ბოლო“ გარკვეულად ჩანს მოქმედი პირების ხასიათები, ამბავიც დამაჯერებლად ვითარდება, რაც ავტორის კარგ მხატვრულ მონაცემებს მოწმობს.

ი. პაპასქირის რომანის ნაწყვეტი „ყველაზე მშობლიური“ კარგად იკითხება.

უცხოელი პროგრესული მწერლების მოთხრობები — ალბერტ მალცის „ასეთია ცხოვრება“ (ა. ჩხიკვაძის თარგმანი), ჰენრი ლოუსონის „არვი ასპინოლის მაღვიძარა“ (მ. ქარჩავას თარგმანი) მუქი მხატვრული ფერებით აგვიწერს: პირველი — კაპიტალიზმის მიერ საშინელ ჩაგვრას, მონობაში მყოფი შავკანიანების ცხოვრებას, მეორე — სამუშაოს დაკარგვის შიშით ერთ-ერთი ობოლი ბავშვის დაღუპვის ამბავს.

ს. ცაიშვილის ბიოგრაფიულ წერილში „დავით ჩქოტუა“ მოთხრობილია ცნობილი აფხაზი საზოგადო მოღვაწის დ. ჩქოტუას ტრაგიკული ცხოვრების ისტორია. შ. ღლონტის სტატიაში „მწერლის მხატვრული ენისა და სტილის საკითხები“, გარჩეულია ოთხი მწერლის: ა. ყაზბეგის, ე. ნინოშვილის, გ. ლეონიძის და გ. აბაშიძის ლიტერატურული ენის თავისებურებანი. წერილში წამოყენებულია ბევრი საინტერესო მოსაზრება.

ალმანახის ამ წიგნში ვხვდებით ლიტერატურულად გაუმართავ, მრავალ უაზრო წინადადებას და ენობრივად ცდარ გამოთქმას, რაც ჩრდილს აყენებს ნაწარმოებებს. მაგალითად, ა. ჯიქიას ლექსში „მთისკენ წამო“ სრულიად უადგილოდ აქვს ნახმარი სიტყვები „სოხუმში ვარ და ვერის ხიდს აქ რა უნდა“, იმ დროს, როცა ავტორს არავინ არ ეკითხება ვერის ხიდის შესახებ. აი სხვა ასეთი მაგალითებიც: „მიმობღავიან მატარებლები“, „ჩანჩქერი მორთავს ზღავილსა“ (გ. გუბლიას ლექსიდან „საქართველოს“), „მოჰქონდა ენგურს ურემი ხარებს, ჯერაც ურემში კისერ გაყრილებს“ (შ. აკობიას პოემიდან „ჩემი მასწავლებელი“). გაუგებარია, ურემი ენგურს მიჰქონდა თუ ხარებს. „კომბაინს ოსტატის მზრუნველი ხელი ესაჭიროებოდა, როგორც ავადმყოფს გამოცდილი დოსტაქარისა“ (ზ. ნაყოფიას მოთხრობიდან „გამარჯვებულნი“). განა ყველა სნეულებით დაავადებულს დოსტაქარი კურნავს?

ალბერტ მალცის მოთხრობაში „ასეთია ცხოვრება“ მთარგმნელს დაუშვია მთელი რიგი სტილისტიკური და ენობრივი ხასიათის შეცდომები. მაგალითად, გვხვდება ასეთი გაუგებარი წინადადებანი: „რომელიც თითქოს ერთი ნაბიჯის სიმაღლეზე ეკიდა“ (სიმაღლე ნაბიჯით არ იზომება), „თითქოს მუცელატკენილი ჯორი იყოს“ და ა. შ.

კრებულის სარედაქციო კოლეგიას მეტი ზრუნვა უნდა გამოეჩინა მასალების ენობრივი დამუშავებისათვის.

წიგნი გამოცემულია უგემოვნოდ, დაბეჭდილია სხვადასხვა ხარისხის ქაღალდზე, აკინძულია უვარგისად, ცუდია მისი ტექნიკური და მხატვრული გაფორმება. არის უამრავი კორექტურული შეცდომა. საჭიროა ალმანახის შემდგომ წიგნებში თავიდან ავიცილოთ ასეთი ნაკლოვანებები.

შალვა ღონღაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟენევის თათბირზე ჩინეთის დელეგაციის წარმომადგენლის განცხადება

ჟენევა, 18 ივნისი. (საკდესი). ჟენევის თათბირზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წარმომადგენელმა ხუან ხუამ დღეს პრესის წარმომადგენლებს გაუკეთა შემდეგი განცხადება სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრის ბიონ იონ ტეს აგრესიული განცხადების გამო.

„ჟენევის თათბირზე კორეის საკითხის განხილვის ცალმხრივი ჩაფუშვის მეორე დღეს სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბიონ იონ ტემ ჟენევაში პრეს-კონფერენციაზე გააკეთა აშკარა აგრესიული განცხადება. ამ განცხადებამ სავსებით ცხადყო, თუ რა დამღუპველი შედეგები მოჰყვა თათბირის ცალმხრივი ჩაფუშვის აქტს, რომელიც კორეის წინააღმდეგ აგრესიული ომის მონაწილე 16 ქვეყნის დელეგაციებმა განახორციელეს შეერთებული შტატების კარნახით. განცხადებაში, რომელიც ბიონ იონ ტემ გააკეთა შეერთებული შტატების აშკარა წაქეზებით, მან გულახდილად თქვა, რომ კორეის საკითხზე მოლაპარაკების ჩაფუშვის შედეგად შეთანხმება კორეაში დაზავების შესახებ უკვე აღარ არის ძალაში და რომ ლი სინ მანის მთავრობა უკვე „სავსებით თავისუფალია დაზავების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ყველა ვალდებულებისაგან“.

ბიონ იონ ტეს ეს განცხადება მოულოდნელი როდი იყო. ჯერ კიდევ ჟენევის თათბირზე კორეის საკითხის განხილვამდე, აგრეთვე მისი განხილვის მსვლელობაში დალესმა და ლი სინ მანმა თავიანთ განცხადებებში არაერთხელ იწინასწარმეტყველეს ჟენევის თათბირის ჩაფუშვა, რაც უკვე მოწმობდა ბოროტ განზრახვას — ჩაეფუშათ მოლაპარაკება იმისათვის, რომ გაეძლიერებინათ დაძაბულობა.

ბიონ იონ ტეს განცხადება ამ განზრახვის მხოლოდ შემდგომ განხორციელებას ემსახურება.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ბიონ იონ ტეს განცხადება საშუალებას მოგვცემს უფრო ნათლად გავიგოთ 16 ქვეყნის პოზიცია კორეის საკითხზე მოლაპარაკებაში, რომელიც ჩაფუშეს 15 ივნისს. სავსებით ითვალისწინებდნენ რა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ლი სინ მანის ხროვის ამ საშიშ ნაბიჯის შესაძლებლობას, სამმა დელეგაციამ — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის დელეგაციებმა 15 ივნისის სხდომაზე შეიტანეს დიდმნიშვნელოვანი წინადადებანი კორეაში მშვიდობის განმტკიცების შესახებ მას შემდეგ, რაც წინათ წამოყენებული წინადადებანი კორეის მშვიდობიანი გაერთიანების შესახებ უსამართლოდ იქნა უარყოფილი და შეთანხმება ამ საკითხზე შეუძლებელი აღმოჩნდა. ეს წინადადებანი კვლავ უხეშად უარყო 16 ქვეყანამ...

16 ქვეყანას, რომლებმაც ჩაფუშეს თათბირი და უარყვეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის წინადადებანი, უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა შედეგებისათვის, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ლი სინ მანის ხროვის შესაძლო ავანტიურებს.

«ტაიმსი» ჩერჩილისა და იდენის ვაშინგტონში მომავალი გამგზავრების შესახებ

ლონდონი, 18 ივნისი. (საკდესი). „ტაიმსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი, ეხება რა ჩერჩილისა და იდენის მომავალ გამგზავრებას ვაშინგტონში, წერს: „ერთი რამ ცხადია—უთანხმოება ორ მთავრობას შორის უფრო სერიოზულია, ვიდრე ეს საჯაროდ არის აღიარებული, და იგი შეეხება არა მარტო ისეთ ზერელე მომენტებს, როგორიც არის უთანხმოება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ერთობლივ მოქმედებაზე მოლაპარაკების წარმოების დროის საკითხში. ფიქრობენ, რომ თუ მხედველობაში არ მივიღებთ ევროპის პრობლემებს, უთანხმოება ეხება უფრო სერიოზულ საკითხებს, ვიდრე ის საკითხებია, რომელთა შესახებ უკვე არსებობს თანხმობა, და ბევრი ამ უთანხმოების დაძლევა ადვილი არ იქნება“.

ჟენევის თათბირის გარშემო

ჟენევა, 19 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). მიღებული ცნობებით, გუშინ ცხრა დელეგაციამ, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხის განხილვაში, დახურულ სხდომაზე გაარჩია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის ის წინადადებანი ლაოსისა და კამბოჯის საკითხზე, რომლებიც შეტანილი იყო წინა სხდომაზე.

როგორც ცნობილია, ეს ექვსი პუნქტისაგან შემდგარი წინადადებანი ითვალისწინებენ, რომ საომარი მოქმედების შეწყვეტა ლაოსსა და კამბოჯაში უნდა განხორციელდეს ვიეტნამში საომარი მოქმედების შეწყვეტასთან ერთად. ორივე მეომარი მხარის სამხედრო სარდლობის წარმომადგენლებმა, როგორც ჟენევაში, ისე ადგილობრივ უნდა დაიწყონ უშუალო მოლაპარაკება ლაოსსა და კამბოჯაში საომარი მოქმედების შეწყვეტის საკითხებზე. გათვალისწინებულია, რომ ლაოსსა და კამბოჯაში გარედან ახალი ნაწილების შეყვანა, იარაღისა და საომარი მასალების შეტანა საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ დაუშვებელია, ამასთან უნდა შეთანხმონ იმ იარაღის რაოდენობისა და სახეობის საკითხი, რაც შეიძლება შეტანილ იქნას თავდაცვისათვის. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებანი აგრეთვე ითვალისწინებენ, რომ სამეთვალყურეო საერთაშორისო კომისიის კომპეტენცია გავრცელდეს ლაოსსა და კამბოჯაზე ამ ქვეყნების თავისებურებათა გათვალისწინებით, სამხედრო ტყვეებისა და ინტერნირებული სამოქალაქო პირების განთავისუფლებას ან გაცვლას და იმ პირების დევნის აკრძალვას, რომლებიც საომარი მოქმედების დროს ამა თუ იმ მხარესთან თანამშრომლობდნენ.

16 ივნისს, როცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციამ ეს წინადადებანი შეიტანა, სხვა დელეგაციების წარმომადგენლები დიდი ინტერესით მოეკიდნენ მათ და განაცხადეს, რომ საჭიროა მათი გულდასმით შესწავლა.

არსებული ცნობებით, გუშინდელ სხდომაზე კამბოჯისა და ლაოსის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებანი ძირითადად მისაღებად მიაჩნიათ, და თავის მხრივ შეიტანეს აგრეთვე მთელი რიგი წინადადებანი. საფრანგეთის დელეგაციამ აზრი გამოთქვა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებანი შეიძლებოდა საფუძვლად დასდებოდა ლაოსისა და კამბოჯის საკითხის განხილვას. ინგლისის დელეგაციამ მხარი დაუჭირა საფრანგეთის დელეგაციის პოზიციას.

როგორც აღნიშნავენ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებებისადმი მოლაპარაკე თათბირის მონაწილეთა დადებითი პოზიციის მკვეთრი კონტრასტი იყო ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის განცხადება, რომელიც ამტკიცებდა, თითქოს ეს წინადადებანი მიუღებელია.

გუშინდელ სხდომაზე საბჭოთა დელეგაციამ, შეაფასა რა სხდომებზე დისკუსიის მსვლელობა, აღნიშნა, რომ უკანასკნელ დღეებში დაახლოვდა სხვადასხვა დელეგაციის თვალსაზრისი. ეს გამოიხატა წინადადებებით, რომლებიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციამ 16 ივნისს შეიტანა. თათბირის მონაწილენი მივიდნენ დასკვნამდე, რომ ეს წინადადებანი წინგადადგმული ნაბიჯია.

შემდეგ საბჭოთა დელეგაციამ აღნიშნა, რომ წინადადებათა სამ პროექტში, რომლებიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ლაოსისა და კამბოჯის დელეგაციებმა შემოიტანეს, ერთგვარ წინააღმდეგობასთან ერთად არის საერთო პუნქტებიც. სსრ კავშირის დელეგაციამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს საერთო პუნქტები არსებობს, და თქვა, რომ საჭიროა თათბირმა მიიღოს ყველა ღონისძიება, რათა ამ საფუძველზე მიაღწიოს შეთანხმებას ურთიერთმისაღებ საფუძველზე.

როგორც იუწყებიან, საბჭოთა დელეგაციამ აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის გამოსვლა გუშინდელ სხდომაზე გაისმა როგორც დისონანსი იმ პოზიციისადმი, რომელიც სხვა დელეგაციებმა დაიკავეს. ეს გამოსვლა ბადებს საკითხს: ზოგიერთი დელეგაცია ხომ არა დგას იმ პოზიციაზე, რომ შეთანხმების მიღწევა ლაოსისა და კამბოჯის საკითხზე საშიში იქნება იმ პოლიტიკისათვის, რომელსაც მათი მთავრობები ახორციელებენ. თათბირის მონაწილეთა ამოცანა ის არის, რომ დაძლიონ შეთანხმების გზაზე არსებული ყველა სიძნელე, მაგრამ ამისათვის საჭიროა კეთილი ნება შეთანხმების მისაღწევად. მაშინ როცა საფრანგეთის, ლაოსის, კამბოჯის წარმომადგენლებმა და სხვა დელეგაციებმა აღიარეს, რომ არსებობს შეთანხმების საფუძველი და რომ მას შეიცავენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებანი, მარტო ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებს არა სურთ რაიმე შეთანხმების გაგონებაც კი, არამედ, პირიქით, ცდილობენ ჩაშალონ ლაოსისა და კამბოჯის საკითხზე შეთანხმების მიღწევა.

საბჭოთა დელეგაციამ აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის მტკიცება გუშინდელ სხდომაზე, თითქოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებანი ლაოსისა და კამბოჯის საკითხზე მიუღებელია, ეწინააღმდეგება ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის განცხადებას წინანდელ სხდომაზე, რომელზეც მან თქვა, რომ შეიძლება მივიღოთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინადადებათა მთელი რიგი პუნქტები. ამერიკის დელეგაციის პოზიციის ასეთი ცვლილება იმას მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ამოცანად ისახავენ ყოველი ღონისძიებით შეუშალონ ხელი შეთანხმების მიღწევას.

როგორც საბჭოთა დელეგაციამ აღნიშნა, იგი იმ თვალსაზრისს ადგას, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე გადაიჭრას საომარი მოქმედების შეწყვეტის საკითხი და მიღწეულ იქნას მშვიდობიანი მოწესრიგება. საჭიროა ხელი შეეწყოს ორი სარდლობის წარმომადგენელთა შორის უკვე დაწყებული მოლაპარაკების წარმოებას და გადაეჭრათ ის საკითხი, რომ ლაოსსა და კამბოჯაში ორივე მეომარი მხარის სამხედრო სარდლობათა წარმომადგენლებს შორის მოეწყოს უშუალო მოლაპარაკება საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

საბჭოთა დელეგაციამ აგრეთვე აღნიშნა, რომ საჭიროა თათბირმა მიიღოს გადაწყვეტილება საომარი მოქმედების შეწყვეტის პირობების შესრულებისადმი სამეთვალყურეო საერთაშორისო კომისიის შემადგენლობის საკითხზე. როგორც ცნობილია, საბჭოთა დელეგაციის მიერ 16 ივნისს შეტანილი წინადადება ითვალისწინებს, რომ ამ კომისიის წევრები შეიძლებოდა ყოფილიყო ხუთი სახელმწიფო: ინდოეთი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, პაკისტანი და ინდონეზია. ჰქონდა რა მხედველობაში, რომ კომისიაში თავმჯდომარე იქნებოდა ინდოეთის წარმომადგენელი, საბჭოთა დელეგაციამ მაშინვე შეიტანა მეორე, ალტერნატიული წინადადება — შეიქმნას კომისია ვიწრო შემადგენლობით — ინდოეთი, პოლონეთი, ინდონეზია ან აზიის რომელიმე სხვა ქვეყანა. ამასთან მხედველობაშია მიღებული, რომ თავმჯდომარე იქნება აგრეთვე ინდოეთის დელეგატი.

მიღებული ცნობებით, სხდომაზე გადაწყდა გუშინდელი და დღევანდელი დღე მოენდომებინათ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ლაოსისა და კამბოჯის დელეგაციათა სამი წინადადების საფუძველზე შეთანხმების მისაღები პროექტის შემუშავებისათვის.

ჟურნალისტთა წრეებში აღნიშნავენ, რომ გუშინდელ სხდომაზე ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია იზოლირებული აღმოჩნდა მისი იმ პოზიციის შედეგად, რომ არ დაუშვას რაიმე შეთანხმების მიღწევა ლაოსისა და კამბოჯის საკითხზე. თათბირის სხვა მონაწილეებმა ცნეს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებანი ამ საკითხზე გონივრულია და დამყარებულია მისწრაფებაზე მიაღწიონ შეთანხმებას ურთიერთმისაღებ საფუძველზე. ცნობილია, რომ ამის უარყოფა ვერ შეძლო ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმაც. 18 ივნისს გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი“ წერდა, რომ ბედელ სმიტი საერთოდ დადებითად გამოეხმაურა 16 ივნისის სხდომაზე შეტანილ ჩინეთის წინადადებებს. ორ დღესაც არ გაუვლია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა. პოლიტიკურ მეთვალყურეთა წრეებში ამას აფასებენ როგორც იმის დადასტურებას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს ყოველი ნაბიჯი, რომლის მიზანია ინდოჩინეთის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგება, თავისი პოლიტიკისათვის სახიფათოდ მიაჩნია და რომ ასეთი მოწესრიგებისათვის ხელის შეშლის ცდაში იგი თავისი საკუთარი წარმომადგენლის დეზავუირებასაც არ მოერიდება.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 18 ივნისი. (საკდესი). კენჭისყრა იმ საკითხის გამო, რომ დამტკიცდეს მენდეს-ფრანსის რწმუნებანი მთავრობის შედგენაზე, ეროვნულ კრებაში მოხდა გვიან ღამით მას შემდეგ, რაც მენდეს-ფრანსმა პასუხი გასცა პარლამენტის სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენელთა გამოსვლებზე. შეეხო რა ეკონომიურ საკითხებს, მან თქვა, რომ ეკონომიური აღდგენის პირველი პირობაა ის, რომ საფრანგეთს „უზრუნველყოფილი ჰქონდეს შესაძლებლობა იცხოვროს მშვიდობით“. „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის გეგმებისადმი თავისი დამოკიდებულების შესახებ მან თქვა, რომ „ამ დარგში არავითარი გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს კარგი, თუ იგი ფართო ეროვნული თანხმობის შედეგი არ იქნება“.

მენდეს-ფრანსის რწმუნებათა დამტკიცებას ხმა მისცა 419 დეპუტატმა, წინააღმდეგ — 47-მა, 143 დეპუტატმა თავი შეიკავა. კენჭისყრის შედეგებზე აშკარად მოახდინა გავლენა ფრანგი ხალხის მისწრაფებამ შეწყდეს ომი ინდოჩინეთში. 419 დეპუტატს შორის, რომლებმაც ხმა მისცეს მენდეს-ფრანსის რწმუნებათა დამტკიცებას, არიან რადიკალთა და რადიკალ-სოციალისტთა (მენდეს-ფრანსი ამ პარტიას ეკუთვნის) პარტიების — ყველა წევრი, ყველა სოციალისტი და კომუნისტი. როგორც ხმის მიცემის მოტივების გამო გამოსვლებიდან ჩანს, მენდეს-ფრანსის დაპირება მალე მიაღწიოს ზავს ინდოჩინეთში — გადამწყვეტი იყო დეპუტატთა უმრავლესობის პოზიციის გარკვევისათვის. მას ხმა მისცა ბევრმა მემარჯვენე დეპუტატმაც.

ისეთმა პარტიამაც კი, როგორიც არის „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობა“, რომელსაც ეკუთვნის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ჟორჟ ბიდო და რომლის წარმომადგენლები აკრიტიკებდნენ მენდეს-ფრანსის მთავრობის პროგრამას, შესაძლებლად ვერ მიიჩნია ხმა მიეცა მის რწმუნებათა დამტკიცების წინააღმდეგ. „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის“ 74 წევრმა 85-დან თავი შეიკავა კენჭისყრისას, ხოლო 10-მა ხმა მისცა მის რწმუნებათა დამტკიცებას.

საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს ახალმა თავმჯდომარემ ინახულა რესპუბლიკის პრეზიდენტი და აცნობა მას კენჭისყრის შედეგები. მან განაცხადა, რომ განზრახული აქვს მალე შეადგინოს ახალი მთავრობა.

გაზეთი „ლიბერასიონი“ დღეს წერს, რომ მშვიდობის პოლიტიკა, რომლის განხორციელება აღუთქვა მენდეს-ფრანსმა, სავსებით შეესაბამება საფრანგეთის მისწრაფებებსა და ეროვნულ ინტერესებს.

მენდეს-ფრანსის მთავრობის დეკლარაციის ბევრ პუნქტს, აღნიშნავს „ლუმანიტე“, შეიძლება სერიოზულად შევედავოთ. მაგრამ ეს პუნქტები მეორეხარისხოვანია მენდეს-ფრანსის მთავარ და პირველხარისხოვან მიზანთან — ინდოჩინეთში ზავის მიღწევასთან შედარებით.

საბჭოთა კავშირ-ირანის სავაჭრო ურთიერთობისათვის

თეირანი, 18 ივნისი. (საკდესი). ირანში სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობასა და ირანის ეროვნული ეკონომიკის სამინისტროს შორის წარმოებული მოლაპარაკების შედეგად, რაც მეგობრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, ამა წლის 17 ივნისს თეირანში მოხდა წერილების გაცვლა ირანში სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელ მ. ი. კუზნეცოვსა და ირანის ეროვნული ეკონომიკის მინისტრ შადმანს შორის მორიგი ერთი წლის პერიოდში სსრ კავშირიდან ირანში და ირანიდან სსრ კავშირში საქონლის მიწოდების შესახებ.

მიღწეული შეთანხმება აღნიშნულ პერიოდში საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ ითვალისწინებს სსრ კავშირსა და ირანს შორის საქონელბრუნვის შემდგომ გადიდებას წინა წელთან შედარებით და შეიცავს საქონელს, რომელიც ტრადიციულია საბჭოთა კავშირ-ირანის ვაჭრობაში.

მოქანდაკე ეთერი კაკაბაძემ დაამთავრა მსახიობის სტალინური პრემიის ლაურეატის მედეა ჯაფარიძის ქანდაკება.
ფოტო შ. გოქაძისა.

სტუდენტთა საზაფხულო დასვენება

დასასრულს უახლოვდება საგაზაფხულო სესიები უმაღლეს სასწავლებლებში. გამოცდების შემდეგ ათასობით სტუდენტი დაისვენებს ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, მოაწყობს ალპურ ლაშქრობებს და სპორტულ შეჯიბრებებს.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, თეატრალური ინსტიტუტის, სამხატვრო აკადემიის, კონსერვატორიის 152 სტუდენტი იკურნალებს ბორჯომის, ბახმაროს, გაგრის, კისლოვოდსკის, სოჭის, წყალტუბოს, შოვის, საირმისა და სხვა სანატორიუმებში.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის თვითმოქმედი კოლექტივები ზაფხულის პერიოდში მომსახურებას გაუწევენ მტს-ების მუშაკებს, კოლმეურნეებს, ხოლო უნივერსიტეტის თვითმოქმედი კოლექტივები მიდიან მოსკოვში, სადაც დაათვალიერებენ დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს, მოაწყობენ კონცერტებს კლუბებსა და სხვა კულტურულ დაწესებულებებში.

მოწინავე სახელოსნო სასწავლებელი

ამას წინათ შემოწმდა საქარხნო-საფაბრიკო სკოლებსა და სახელოსნო სასწავლებლებს შორის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

კვალიფიციური კადრების მომზადების, სკოლის მანქანა-დანადგარების კარგი მოვლა-პატრონობის, შრომის დისციპლინის განმტკიცების, საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარებისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა თბილისის მე-5 სპეციალური სახელოსნო სასწავლებელი (დირექტორი ამხ. პ. ლაპარტია), რომელსაც საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილებით მიენიჭა რესპუბლიკაში პირველი, ხოლო საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებით მესამე საკავშირო ადგილი.

მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

16 ივნისს შვეიცარიაში დაიწყო ფინალური ასპარეზობა ფეხბურთში მსოფლიოს პირველობაზე. [illegible] მსოფლიო თასის გათამაშება იმართება ოთხ წელიწადში ერთხელ. ომამდე ყველა კონტინენტის უძლიერესი გუნდების შეხვედრა მოეწყო სამჯერ. 1930 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ურუგვაის ნაკრები გუნდი, 1934 და 1938 წლებში — იტალიის ფეხბურთელთა კოლექტივი. მორიგი ჩემპიონატი შედგა 12 წლის შემდეგ ბრაზილიაში. ურუგვაელმა ფეხბურთელებმა შეძლეს კვლავ მოეპოვებინათ მსოფლიოს ჩემპიონის წოდება. დიდ ინტერესს იწვევს მიმდინარე ჩემპიონატი. ფინალის მონაწილეთა გამოსავლინებლად მოეწყო წინასწარი შეხვედრები, შედგა 57 მატჩი, გატანილ იქნა 206 ბურთი.

დასკვნით ასპარეზობაში ჩაება ფეხბურთელთა 16 კოლექტივი, გაყოფილი ოთხ ჯგუფად. მერვედფინალური მატჩები, რომლებიც 16 ივნისს დაიწყო, 5 დღეს გაგრძელდება. პირველ ჯგუფში შედიან: ბრაზილია, საფრანგეთი, მექსიკა, იუგოსლავია; მეორეში — უნგრეთი, თურქეთი, დასავლეთ გერმანია, სამხრეთ კორეა; მესამეში — ავსტრია, ურუგვაი, შოტლანდია, ჩეხოსლოვაკია; მეოთხეში — ინგლისი, იტალია, ბელგია, შვეიცარია.

16 ივნისს შვეიცარიის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა მსოფლიო პირველობის მერვედფინალური ასპარეზობის ოთხი მატჩი. მსოფლიოს ჩემპიონმა ურუგვაის გუნდმა მოუგო ჩეხოსლოვაკ ფეხბურთელებს ანგარიშით 2:0. ბრაზილიელებმა დაამარცხეს მექსიკის გუნდი 5:0. დანარჩენი ორი შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 1:0. ავსტრიელებმა მოუგეს შოტლანდიის გუნდს, იუგოსლავიამ — საფრანგეთს.

მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართება 26 და 27 ივნისს ჟენევაში, ბერნში, ლოზანაში და ბაზელში, ნახევარფინალური ასპარეზობა — 30 ივნისს ბაზელსა და ლოზანაში, ფინალური შეჯიბრება — 4 ივლისს ბერნში.

რამდენიმე სტრიქონით

⊙ **10 ჰექტარი მიწის ნაკვეთი** თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა დიღმის სანერგის მიდამოებში გამოყო საზოგადოება „დინამოს“ სასპორტო ბაზის მშენებლობისათვის.

⊙ **საფეიქრო ნაწარმის სპეციალიზებული მაღაზიის** გასახსნელად საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს ახალ სახლში (უნივერსიტეტის ქუჩაზე) „ტექსტილტორგს“ გადაეცა 120 კვადრატული მეტრი ფართობი.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ **დანიშნა:**

ამხ. ვ. კ. მაღრაძე — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ.

ამხ. ლ. ზ. გომელაური — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილედ კადრების დარგში.

ამხ. ი. ს. ხარისჩირაშვილი — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ **გაათავისუფლა:**

ამხ. გ. პ. პაპასკუა — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან.

ამხ. ბ. გ. გელაშვილი — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილის მოვალეობისაგან. (საქდესი).

რედაქტორის მოადგილე
რ. ქურციკიძე.

საერთაშორისო თემაზე

მდგომარეობა აღმოსავლეთ პაკისტანში

პაკისტანის ამბები კვლავ იპყრობს მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღებას. აღმოსავლეთ პაკისტანში მძვინვარებს ტერორისტული რეჟიმი, აპატიმრებენ და სასტიკად სდევნიან დემოკრატიულ ძალებს, სამშობლოს დამოუკიდებლობისა და ხალხთა შორის მშვიდობისათვის მებრძოლ პატრიოტებს. ყოველივე ეს ხდება ამერიკელ იმპერიალისტთა ჩარევით, პაკისტანელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ.

ცნობილია, რომ ამერიკელმა იმპერიალისტებმა უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც პაკისტანი ინდოეთს გამოეყო, მრავალი ღონისძიება განახორციელეს პაკისტანში თავიანთი გავლენის გასაძლიერებლად. ამერიკელებს განზრახული აქვთ ეს ქვეყანა გამოიყენონ პლაცდარმად აზიაში აგრესიული ომების წარმოებისათვის. განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ აღმოსავლეთ პაკისტანს, რომელსაც უკვე იყენებენ ინდოჩინეთში აგრესიული ომის წახალისებისა და ფრანგი დამპყრობლებისათვის დახმარების ბაზად. იქიდან გზავნიან ვიეტნამში ამერიკული იარაღით დატვირთულ თვითმფრინავებს, გადაჰყავთ ამერიკელი „ინსტრუქტორები“, ვიეტნამელი ხალხის მტრებს მეგობრობას ეფიცებიან, ხოლო ფრანგებს ურჩევენ იბრძოლონ მანამდე, სანამ მათი უკანასკნელი ჯარისკაცი სიცოცხლეს გამოესალმებოდეს ინდოჩინეთის ჯუნგლებში.

ამერიკელთა „მეგობრობას“ ეჭვის თვალით შეხედა პაკისტანელმა ხალხმა. ამერიკის მიერ დამონების საშიშროებამ დიდი შეშფოთება გამოიწვია აღმოსავლეთ პაკისტანში, რომლის მოსახლეობაც 42 მილიონს შეადგენს (სულ პაკისტანში 76 მილიონი მცხოვრებია). მშრომელთა ანტიამერიკულმა განწყობილებამ აღმოსავლეთ პაკისტანში ნათელი გამოხატულება ჰპოვა საკანონმდებლო კრების არჩევნებისას მიმდინარე წლის მარტში. ამომრჩეველთა დიდმა უმრავლესობამ ხმა მისცა მშრომელთა ინტერესების გამომხატველ გაერთიანებულ ფრონტს, რომელიც ამერიკელთა „სამხედრო დახმარებისა“ და სამხედრო ბლოკების წინააღმდეგია. პაკისტანის მმართველმა პარტიამ — რეაქციულმა მუსლიმანურმა ლიგამ 10 მანდატი ძლივს მიიღო, მაშინ როცა გაერთიანებულმა ფრონტმა საკანონმდებლო კრებაში მიიღო 223 მანდატი. ამრიგად, აღმოსავლეთ პაკისტანში შეიქმნა გაერთიანებული ფრონტის მთავრობა მისი ერთ-ერთი ლიდერის ფაზლულ ხაკის მეთაურობით.

პაკისტანის კონსტიტუციის მიხედვით ფაზლულ ხაკი, როგორც პროვინციის მთავარი მინისტრი, ემორჩილებოდა პაკისტანის ცენტრალურ მთავრობას. მაგრამ იმის გამო, რომ დასავლეთი პაკისტანი 1.500 კილომეტრით არის დაშორებული აღმოსავლეთ პაკისტანს, კარაჩის ცენტრალურ მთავრობას არ ჰქონდა ფაზლულ ხაკის მთავრობისადმი ყოველდღიური კონტროლის შესაძლებლობა. ეს საგონებელში აგდებდა ამერიკელ რეაქციონერებს. ისინი ყოველგვარ ჭორებს ავრცელებდნენ აღმოსავლეთ პაკისტანის პროგრესული ძალების წინააღმდეგ, მათ კომუნისტებს, „დელისა და პეკინის აგენტებს“ უწოდებდნენ, უცდიდნენ, და არა მარტო უცდიდნენ, არამედ ამზადებდნენ მომენტს, როცა მათთვის ანგარიშის გასწორების შესაძლებლობა მიეცემოდათ.

ეს მომენტიც დადგა. 15 მაისს აღმოსავლეთ პაკისტანის პატარა ქალაქ ნარაიანგაჯის „ადამჯის“ ჯუთის საწარმოებში ამერიკელთა აგენტებმა მოაწყეს მუშების სისხლისმღვრელი შეტაკება. ინდოეთის გაზეთ „ხინდუსტან ტაიმსის“ ცნობით, ამ შეტაკების შედეგად მოკლულ იქნა დაახლოებით 600 კაცი.

ეს ტრაგიკული შემთხვევა ამერიკელმა და პაკისტანელმა რეაქციონერებმა გამოიყენეს აღმოსავლეთ პაკისტანის მთავრობისა და პროგრესული ძალების წინააღმდეგ აშკარა ლაშქრობისათვის. შეტაკების პროვოცირება კომუნისტებს გადააბრალეს. აღმოსავლეთ პაკისტანის მთავარმა მინისტრმა ფაზლულ ხაკმა განაცხადა, რომ ამ არეულობაში კომუნისტებს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ, მაგრამ თვით ფაზლულ ხაკს დასდეს ბრალად კომუნისტების მფარველობა, განაცხადეს, რომ მას არა აქვს პროვინციის მართვის უნარი.

გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ გამოაქვეყნა პროვოკაციულად შეთითხნილი ცილისმწამებლური განცხადება ფაზლულ ხაკის წინააღმდეგ, თითქოს მას განეცხადებინოს: ჩემი მისწრაფებაა აღმოსავლეთი პაკისტანი გადავაქციო „დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“, რომელსაც თავისი შეიარაღებული ძალები ეყოლებაო. ამ საბაბით ფაზლულ ხაკი, როგორც მოღალატე, გადააყენეს. გააჩაღეს პროგრესულ მოღვაწეთა დაპატიმრება. დაამყარეს სასტიკი ტერორისტული რეჟიმი. შეაჩერეს კონსტიტუციის მოქმედება. დააწესეს გუბერნატორის ხელისუფლება. აღმოსავლეთ პაკისტანის გუბერნატორად დანიშნულია ამერიკული ორიენტაციის რეაქციონერი, თურქეთ-პაკისტანის ბლოკის ერთ-ერთი ინიციატორი გენერალ-მაიორი ისკანდერ მირზა.

როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ პაკისტანში მისთვის საიმედო კაცის დასმის შემდეგ პაკისტანის პრემიერ-მინისტრი მოჰამედ ალი გულდამშვიდებით გაემგზავრა თურქეთში სამხედრო მოლაპარაკებისათვის. თურქეთის გაზეთი „ჯუმჰურიეთი“ შენიშნავს: „შემთხვევითად როდი მიაჩნიათ ის გარემოება, რომ პაკისტანის პრემიერ-მინისტრის ვიზიტი თურქეთში დაემთხვა თურქეთის პრემიერ-მინისტრ მენდერესის დაბრუნებას ამერიკის შეერთებული შტატებიდან“.

ამერიკელი რეაქციონერები შუა აღმოსავლეთის აგრესიული ბლოკის იდეის სულისჩამდგმელები არიან. მათი სურვილია თურქეთიდან პაკისტანამდე შექმნან მორჩილ სახელმწიფოთა ახალი სამხედრო ბლოკი, რომელიც მიმართული იქნება მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის წინააღმდეგ და პაკისტანი გამოიყენონ სამხედრო ბაზად აზიაში აგრესიული ომების წარმოებისათვის. ინდოეთის გაზეთი „ნავ ბჰარატ ტაიმსი“ სამართლიანად შენიშნავს, რომ აღმოსავლეთ პაკისტანს „ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიულ გეგმებში“.

მაგრამ პაკისტანელ ხალხს არა სურს ზიდოს ახალი ომებისა და ამერიკელ მილიარდერთა ბატონობის მძიმე ტვირთი. პაკისტანის მშრომელი მოსახლეობა იბრძვის მშვიდობისათვის, სამშობლოს სრული დამოუკიდებლობისათვის.

პ. მახვილაძე.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

20 ივნისს
დღის 12 საათზე
პ. ჩაიკოვსკი — **გედების ტბა**
საღამოს
(დ. გამრეკელისა და დ. ანდღულაძის მონაწილეობით)
I. ლეონკავალო — **ჯამბაზები**
(საკონცერტო შესრულებით),
II. **საკონცერტო განყოფილება**
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

დისერტაციების დაცვა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი
(ძერჟინსკის ქ. № 8).

2-VII-54 წ. დილის 11 საათზე ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციებს დაიცავენ:

ოთარ ისიდორეს-ძე გიგინეიშვილი თემაზე: „ახალგაზრდა თურქთა ექსპანსიონისტური პოლიტიკის ისტორიიდან“.

ნათელა დავითის ასული ნაცვლიშვილი თემაზე: „რუსი და ქართველი ხალხის საბრძოლო მეგობრობის ისტორიიდან (ფოთის გამოხსნისათვის ბრძოლა რუსეთ-თურქეთის ომებში)“.

ტარიელ ნიკოლოზის-ძე ჩუბინიშვილი თემაზე: „შიდა ქართლის გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურის ადრეული ეტაპის ისტორიისათვის“.

დისერტაციების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8, II სართული) სამუშაო საათებში.

შვილები ნინო, გაბრიელ, რძალი მარიამ, შვილიშვილები გურამ, ლევან კაკაბაძეები იუწყებიან **ლევან გაბრიელის-ძე კაკაბაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-VI, 6 ს. სოფ. პატარა კუხში (წულუკიძის რ.).

მშობლები ტასო, სანდრო, მეუღლე ეთერ, შვილები ბელა, ჯილდა, და ნორა, ძმა შოთა ხუციშვილები, სიძე გრიშა კალანდაძე იუწყებიან **გოგი ალექსანდრეს-ძე ხუციშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-VI, 5 ს. სოფ. საქაშეთში (გორის რ.).

კურორტ მენჯის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი იუწყება **იასონ ერასტის-ძე კინწურაშვილის** გარდაცვალებას.

და ლილი, რძალი ნუცა, ძმისწული ოთარ ოჯახით იუწყებიან **მარიამ პლატონის ასულ აველიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20-VI, 8 ს. გამოსვენება 22-VI, 6 ს. ორდონის ქ. № 12.

დღეს თბილისის თეატრებსა და კინოებში

რუსთაველის სახელობის — ორი კურდღლის მადევარი (დილას, ლვოვის თეატრის გასტროლები), მზაკვარი ქვრივი (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — ასი მილიონი (დილას), კიბოები (საღამოს). **სანიტარული კულტურის** — საგზურები.

• • •

კინოთეატრის საზამთრო დარბაზებში — **რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი. ისანი, 26 კომისრის სახელობის** — ჭრიჭინა, **კომკავშირელი** — ორი ბატონის მსახური, **კოლხიდა, დიდუბე, ოფიცერთა სახლი** — ანა კისერზე.

საზაფხულო დარბაზებში — **ისანი** — ლიუბოვ იაროვაია, **26 კომისრის** — გზა ეშაფოტისაკენ, **დიდუბე** — ქალიშვილს პაემანზე მიეჩქარება, **გორკის სახელობის პარკი** — ვოლგა-ვოლგა, **კიროვის სახელობის პარკი** — ჭრიჭინა.

და ანა, სიძე ლევან, დისწულები ელენე, მიხეილ მაილოვები, ძმა კოტე, რძალი სონა, ძმისწული თამარ ბეჟიტაშვილები იუწყებიან **ალექსანდრე ივანეს-ძე ბეჟიტაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21-VI, 8 ს. გამოსვენება 22-VI, 6 ს. ბორბალოს ქ. № 20.

შვილები თამარ, ქეთო, სიძეები ა. სიმონია, მ. მაისურაძე, გ. სკლიარენკო, შვილიშვილები ლეილა, ზურაბ, მერცია, გიორგი, გია, და კატო შვილებით იუწყებიან **ანა მიხეილის ასულ კობახიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21-VI, 8 ს. გამოსვენება 22-VI, 6 ს. ზაქრიძის ქ. № 28.

შვილები ლადო, პატკულია, რძალი მარგო, შვილიშვილები იმედი, ნინელი, ლამარა, ნანული, იამზე იუწყებიან **ივანე ოქროპირის-ძე დოლაბერიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21-VI, 8 ს. გამოსვენება 22-VI, 6 ს. პეროვსკაიას ქ. № 17.

შვილი თათუშა, სიძე სევერიანე, შვილიშვილები, ეთერ, გივი, ნიკოლოზ კვანტალიანები, რძალი მერი, სიძე გლება იუწყებიან **ჟუჟუნა ივანეს ასულ კაჭარავა-ცომაიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-VI აბაშაში. გამოსვენება ზინიდან, სტალინის ქ. № 26.

შვილი ჯემალ ჯიშკარიანი, დები ზიზილა, ქეთო, მარგალიტა, სიძეები მ. გამყრელიძე, ბ. პიჭინაშვილი, ი. აბდუშელიშვილი შვილებით და ვერა ჩუბინიშვილი იუწყებიან **თამარ გრიგოლის ასულ გლურჯიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21-VI, 8 ს. გამოსვენება 22-VI, 6 ს. ნაფარეულის ქ. № 16.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეებისა—3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტისა და პრესის მიმოხილვის—3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურის და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

6

უე 04619

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.